ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## 7 ნოემბრის საქმეზე მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი გადაიდო







## ტერორიზმის საქმე — სპეცოპერაცია ოთხ ლოკაციაზე და დაკავებული ორი პირი

ხუთშაბათი, 27 ივლისი, 2023 | №146 (9182) | ფასი: 80 თეთრი

# „მელიას შეუძლია ხაზეიშვილი გადააყენოს და თავმჯდომარის პოსტი დაიბრუნოს“






ვახტანგ ძაბირაძე: „გვარამია პოლიტიკაში შემოვა. მას აქვს როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაში ყოფნის გამოცდილება. დღევანდელ ნაციონალურ მოძრაობაში მასზე დიდი პოლიტიკური და ინტელექტუალური გამოცდილება, არ მგონია, ვინმეს ჰქონდეს“



## „თუ ეკონომიკა ყვავის, თუ ფული შემოდის, მაშინ რატომ არ მყარდება ლარი? რატომ არ იაფდება საწვავი?“






ოთო აბესაძე: „საერთაშორისო სავალუტო ფონდმა განხილვიდან ამოიღო საქართველო, როგორც დასახმარებელი, საგრანტო ქვეყანა“




## გიორგი გახარია: „ნაცებმა და „ქოცებმა“, ამ ორმა დესტრუქციულმა ძალამ, ერთად 50% ვერ უნდა გადალახოს“

## გარი კასპაროვი: „უკრაინის არდამარცხებამ ყველა კარტი არია“




ვის რისთვის სჭირდება უკრაინის გამარჯვების გადავადება?




## გაგა ჩხეიძე: „ძალიან დაბალი კულტურის მინისტრის ცრუ, ცილისმწამებლურსა და შეურაცხმყოფელ განცხადებებზე პასუხის გაცემით“




## შსს-ს მანქანა ავტომობილს შეეჯახა და მძღოლი მიიმალა




## ვლადიმირ ვაისი: ქვარასთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე გავიდოდით

3 ამერიკის საელჩო: „თბილისში, აშშ-ის საელჩოში, არავის მიუღია მონაწილეობა სააკაშვილის ლობირებაში“

6 წყვილი მეზობლის სახლში შეიჭრა, სექსის შემდეგ კი იქვე დაიძინა

5 ქალმა შეყვარებულის კოცნის შემდეგ ცალ ყურში სმენა დაკარგა

6 ჟოზეფ ბორელი: „ყურანისა და სხვა წმინდა წიგნების წაბილწვა მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფას წარმოადგენს“

# „თუ ეკონომიკა ყვავის, თუ ფული შემოდის, მაშინ რატომ არ მყარდება ლარი? რატომ არ იაფდება საწვავი?“

## ოთო აბესაძე: „საერთაშორისო სავალუტო ფონდმა განხილვიდან ამოიღო საქართველო, როგორც დასახმარებელი, საგრანტო ქვეყანა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ოთო აბესაძე პასუხობს.



***– ოთო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის ეკონომიკურ პროცესებს? დღეს, ჩვენს ქვეყანაში, პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთზეა მიბმული. ვისმენთ შეფასებებს, რომ სერიოზული რყევები მიმდინარეობს ქვეყანაში. ამ დროს „ოცნების“ ხელისუფლება აცხადებს, რომ დუღს ქართული ეკონომიკა. რას ფიქრობთ შექმნილ ვითარებაზე?***

– დღეს, ფაქტობრივად, ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის კონიუქტურული ზღვარი აღარ არსებობს. ეს ორი განზომილება ერთმანეთში აიზილა. მთავარი პრობლემა აქ ის არის, რომ პოლიტიკურმა მდგომარეობამ, ქართული ეკონომიკა, თავიდან ბოლომდე, გახადა რუსულ ორბიტაზე ორიენტირებული. ეს არის სამწუხარო, ვინაიდან სულ რომ კანადის მეზობლები ვიყოთ, მხოლოდ ერთ ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარება ეკონომიკას ვნებს.

რაც უფრო ფართოა შენი სავაჭრო სპექტრი, არეალი, მით უფრო ძლიერია ქვეყანა და ეკონომიკურად არის დამოუკიდებელი. როდესაც ჩვენს ქვეყანას აქვს ხელშეკრულება ევროკავშირთან და გვაქვს რესურსი, ქართველმა ფერმერმა ევროკავშირის ქვეყნებში გაიტანოს პროდუქცია, ამ ფონზე ევროკავშირთან სავაჭრო პარამეტრები მცირდება და რუსეთთან ერთიასად იზრდება.

***– ადრე საუბრობდნენ, რომ შავი ხვრელებია, ფარული ვაჭრობა მიდის და ასე შემდეგ, ახლა ამასაც აღარ მალავენ, ფრენებით დაწყებული ვხედავთ რაც ხდება.***

– მანდ მივდივარ ზუსტად. ის სახელმწიფო, ვისთანაც გაქვს ყველაზე ღრმა ეკონომიკური ურთიერთობა და ეს სახელმწიფო არის საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან სანქცირებული, კარგ შედეგს არ მოგიტანს. დღეს რა ხდება რეალურად? თანამედროვე ცივილური მსოფლიო, სანქციას სანქციაზე უწესებს რუსეთს, ჩვენ, პირიქით, ვეხმარებით ამ სანქციების გვერდის ავლაში. ნებისმიერ შემთხვევაში, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, აუცილებლად დადგება ის დღე, როდესაც დაისმება ბევრი კითხვა და ამაზე პასუხები არ ექნებათ. სამწუხაროდ, ეს სანქციები და ეს დამოკიდებულება აისახება საქართველოს მოსახლეობის ჯიბეზე.

***– რამდენად სავალალოა სიტუაცია და რა გველოდება მომავალში, როდესაც დიდი ნაბიჯებით ვშორდებით ევროპას და მივდივართ რუსეთისკენ? რას მოგვიტანს ეს ყველაფერი?***

– უნიკალური შანსი გავუშვით ხელიდან, რომ მიგველო არაერთი გრანტი, დაფინანსება სოფლის მეურნეობის კუთხით, წარმოების განვითარების კუთხით. ჩვენი წარმოება და ეკონომიკა ყოფილიყო სტანდარტირებული საერთაშორისო დონეზე, რაც აღიარებულია დასავლეთის მხრიდან. რაც უფრო ბევრ ქვეყანასთან ვაჭრობ, ეს არის კარგი. დღეს, სამწუხაროდ, ჩავებით მხოლოდ ერთ ქვეყანას და ეს ქვეყანა არის საერთაშორისო იზოლაციის ქვეშ.

***– საუბარია, რომ გრანტებიც და დაფინანსებაც სერიოზულად იზღუდება დასავლეთიდან.***

– დიახ ასეა. მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, საერთოდ განხილვიდან ამოიღო საქართველო, როგორც დასახმარებელი, საგრანტო ქვეყანა.

***– და ეს არის აყვავებული ეკონომიკა?***

– არ ვიცი, ვისთვისაა ამ ქვეყანაში ეკონომიკა აყვავებული. მოსახლეობამ განსაზღვროს შემდეგნაირად, ამას არ სჭირდება ფორმულები და დამატებითი სიღრმისეული ანალიტიკა. ყოველთვიური საკუთარი შემოსავლები შეადაროს საკუთარ ხარჯებს! მორჩა, ამით ყველაფერი ცხადი გახდება!

***– რას იტყვით არასტაბილურ ვალუტის კურსზე? ვისმენთ შეფასებებს, რომ სერიოზულ რყევებს განიცდის ლარი. არის ეჭვები, რომ ვიღაც ამით ხელს ითბობს და დიდ ფულს შოულობს.***

– მეც ძალიან დიდი ეჭვი მაქვს ამის, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ფინანსურ მაქინაციებთან. როდესაც არ აკეთებს ეროვნული ბანკი დოლარის შესყიდვას, ყოველ შემთხვევაში, ეს საჯარო არ არის, როდესაც არ ხდება განსაკუთრებული ეკონომიკური პარამეტრები და მონეტარული ცვლილებები ქვეყანაში და ასეთ დროს ხდება რადიკალური კურსის ცვლილება, ფაქტია, კონკრეტულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, ვიღაც-ვიღაცები სარგებლობენ. სხვა ვარიანტი არ რჩება. თუ ეკონომიკა ყვავის, თუ ფული შემოდის, თუნდაც რუსეთიდან, მაშინ რატომ არ მყარდება ლარი? რატომ არ იაფდება საწვავი? ალოგიკურია. როგორ შეიძლება, ქვეყანაში შემოდიოდეს ფული, ყვაოდეს ეკონომიკა და ვალუტის კურსი უფასურდებოდეს?! არ ხდება ასე.

***– მსგავსი მაქინაციები შესაძლებელია მხოლოდ სერიოზული თანხებით. მსგავს მაქინაციებს რიგითი ადამიანები ხომ ვერ შეძლებენ?***

– რასაკვირველია. აქ საუბარია ათობით მილიონზე. ამ სქემას ერთი და ორი მილიონი არ ეყოფა. ხდება „ქირურგიული ჩარევა“ ლარის კურსზე და ამით სარგებლობენ კონკრეტული ადამიანები. ეს არის და ეს.

***– და ამის უკან ვინ დგას, ეროვნული ბანკი?***

– სულ რომ სათავეში არ იყოს, მაინც პროცესის მმართველი მონეტარულ პოლიტიკაზე არის ეროვნული ბანკი. ეროვნული ბანკი ძალაუფლებით ნებისმიერ სამინისტროზე მაღლა დგას. მოსახლეობას არ აქვს გათავისებული ამ ინსტიტუტის როლი და არც ის, თუ რატომ უნდა იყოს ეს ინსტიტუტი აბსოლუტურად დამოუკიდებელი. ჩვენ ამ შემთხვევაში ვიღებთ „პარტიულ ეროვნულ ბანკს“, ჩვენდა სამწუხაროდ.

***– ყოველ ზაფხულს ჩვენი ხელისუფლება ტურისტული სეზონით თავს იწონებს. სერიოზული თანხები შემოედინება ქვეყანაშიო. ვისმენ შეფასებებს, რომ დღეს ამ კუთხითაც სრულიად განსხვავებული სურათი მივიღეთ, რომ აქ შემოსულმა რუსებმა, უკვე თავად ააშენეს სასტუმროები, თავად აქირავებენ ბინებს, ხსნიან რესტორნებს, სკოლებსა და საბავშვო ბაღებს და თანხები ქვეყნის ბიუჯეტში აღარ შედის. აი, ამაზე რას იტყვით და რამდენად ახალი თავის ტკივილი აქვს ქვეყანას?***

– აი, სწორედ ამაზე ვსაუბრობდი ზემოთ, რომ მხოლოდ ერთ ქვეყანასთან ურთიერთობა არის დამღუპველი, ეს ქვეყანა სულ რომ კანადა იყოს! ეკონომიკას აქვს ეს თავისებურება, თუ მიუშვებ ემიგრაციულ ეკონომიკურ პოლიტიკას, ის ყოველთვის აგიყირავდება. იგივე მოხდა ამ შემთხვევაშიც, დაკიდებულები ვართ რუსეთზე და მათ ამით ისარგებლეს. მათ ყველაფერზე აქვთ წვდომა, უძრავ-მოძრავ ქონებაზე, მარტივად შეუძლიათ მოიპოვონ ბინადრობის უფლება და ცხადია, რასაც უნდათ, იმას იზამენ. აქ გასაკვირი ისკი არ არის, რუსული ეკონომიკა რომ განვითარდა საქართველოში, გასაკვირი ის არის, საქართველოს ხელისუფლება რომ არ ატარებს შესაბამის, მკაცრ პოლიტიკას.

***– თავადაც ხელს ითბობს ჩვენი ხელისუფლება, თუ რატომ არის პროცესი ასე მიშვებული?***

– არ ვიცი. ამაზე პასუხი მათგან უნდა მოვისმინოთ. ფაქტია, რომ საქართველოში შემოსული რუსული ფულის 80%-ზე მეტი, გავიდა უკან. გავიდა ევროპაში, ან აზიაში. საქართველო გახდა ტრანსფერი. იყო ბინების შეძენის ბუმი, მიწების შეძენის და შემდეგ ეს ყველაფერი გადაიქცა კლიენტურ რუსულ ეკონომიკურ საკუთრებად და არა რთულ ეკონომიკურ აქტორად.

***– როგორია უახლოესი პერიოდის პროგნოზი? რამდენად საშიშია სიტუაცია და გამოსავალი თუ არსებობს შექმნილი ვითარებიდან?***

– თუ არ გადაიხედა ქვეყნის როგორც პოლიტიკური კურსი, ისე ეკონომიკური მიდგომები და საგადასახადო პოლიტიკა, სიტუაცია სავალალოა. პროცესი მიდის რეგრესისკენ. საქართველომ აუცილებლად უნდა განსაზღვროს მისი პოლიტიკური კურსი, შემდეგ ამ კურსზე გადააწყოს ქვეყნის ეკონომიკა.

***– რამდენად ვკარგავთ კანდიდატის სტატუსის შანსსაც?***

– ვკარგავთ არა, უკვე დავკარგეთ. რა დროს სტატუსზე ლაპარაკია, ხალხო, სავალუტო ფონდმა გააჩერა ჩვენთან საქმის წარმოება.

***– გადმორიცხვები შეჩერდა ამერიკიდან. ეს რამდენად საშიში ტენდენციაა? ან რამდენად მოყვება ჯაჭვური რეაქცია ყოველივე ამას?***

– უკვე 14-ჯერ მივიღეთ საპროტესტო ნოტა, როგორც საფინანსო ინსტიტუტებიდან, ისე საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციებიდან, რომ ნუ გადავიქცევით ფულადი ტრანსფერების შავ ხვრელად. სამწუხაროდ, ამაზე რეაგირება არ აქვს ხელისუფლებას და ეს საპროტესტო ნოტა აუცილებლად გადაიქცევა საპროტესტო ბლოკადისკენ.

***– სერიოზულ სანქციებს თუ ელოდებით?***

– ნამდვილად არის ამის მოლოდინი. სადაც ერთხელ მოხდა უკვე და პრეცედენტი დაიშვა, რომ საქართველოს ირგვლივ გაჩნდა სანქცირებული კასტა, საუბარი მაქვს ამერიკის მხრიდან მოსამართლეების სანქცირებაზე, ეს უკვე არის ნიშანი იმის, რომ პროცესი დაიწყო.



# გიორგი გახარია: „ნაცებმა და „ქოცებმა“, ამ ორმა დესტრუქციულმა ძალამ, ერთად 50% ვერ უნდა გადალახოს“

პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერის, გიორგი გახარიას განცხადებით, ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ თანამშრომლობის ბევრი მაგალითი არსებობს, მათ შორის, პარლამენტშიც.

როგორც გახარიამ აღნიშნა, ნაციონალური მოძრაობისა



და „ქართული ოცნების“ თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია ე.წ. ქოლცენტრების საქმე.

– მუნიციპალურ დონეზე „ოცნებისა“ და ნაცების თანამშრომლობის უკვე იმდენი ფაქტია, პარლამენტშიც. აი, იუსტიციის საბჭოს წევრები ერთად აირჩიეს. „ქოლცენტრები“ არის იდეალური მაგალითი, როგორ თანამშრომლობენ ერთმანეთთან ნაცები და „ქოცები“. „ქოლცენტრები“ არის იდეალური მაგალითი, ქართული სახელმწიფოს რეპუტაციის ხარჯზე, როგორ შოულობენ მილიარდებს ნაცებიც და „ქოცებიც“ და მერე გამოვლენ და იტყვიან, რომ კოალიცია არ გვაქვსო. შენ, როდესაც სახელმწიფო ინსტიტუტებს იყენებ იმისათვის, რომ ძალაუფლება შეინარჩუნო, ძალაუფლება გინდა იმისთვის, რომ ფული იშოვო, ფულს ვისთანაც შოულობ, ის არის შენი ნამდვილი პარტნიორი, ის კი არა პარლამენტში ვისთანაც ოპოზიციაში ხარ. მთავარია, ფულს ვისთან ერთად შოულობ და ვისთან ერთად იყოფ. ეს „ქოლცენტრები“ არის ყველაზე კარგი, იდეალური მაგალითი „ქოცებისა“ და ნაცების თანამშრომლობის. თუ ასე არ არის, აბა, ან ერთმა, ან მეორემ თვითონ დააინიცირონ ამ კომისიის შექმნა.

ამიტომ არის, რომ გამოძიება არ უნდათ და ამ კომისიის შექმნა. ეს კომისია რომ შეიქმნას, ერთმანეთზე მოუწევთ ჩვენების მიცემა. ამ ორმა, ქვეყნისთვის სახიფათო, დესტრუქციულმა ძალამ, ერთად 50% ვერ უნდა გადალახოს. კი არ უნდა გაქრნენ, არა, უნდა იყვნენ, უბრალოდ 50% ვერ უნდა გადალახონ. საქართველოს მოქალაქეებს არ უნდათ გააკეთონ არჩევანი ნაცსა და „ოცნებას“ შორის. რატომ? იმიტომ, რომ ძალიან კარგად ახსოვს ნაცი როგორ ძალადობდა ფიზიკურად და კარგად ხედავს დღეს „ოცნება“ როგორ ძალადობს ფსიქოლოგიურად. ადამიანმა არჩევანი ხომ დაიმსახურა?

ახლა, ფაქტობრივად, არჩევანი არ არსებობს. არსებობს ფსიქოლოგიური მოძალადე, რომელიც გაშინებს და გაშანტაჟებს ფიზიკური მოძალადით. მერე გამოვლენ და გეტყვიან ღირსებაზე რამეს. ღირსებაა ეს? ეს ყველაფერი რომ ხდებოდეს სხვაგან და სხვა დროს, შეიძლება კომპრომისებზე გვეფიქრა. წითელი ხაზები უკვე გადაკვეთილია. ამიტომ ეგრე ველარ იქნება, – განაცხადა გახარიამ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
ISSN 1987-9385
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – ჟანა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ თევდორაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მელიას შეუძლია ხაბეიშვილი გადააყენოს და თავმჯდომარის პოსტი დაიბრუნოს“

**„გვარამია პოლიტიკაში შემოვა. მას აქვს როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაში ყოფნის გამოცდილება. დღევანდელ ნაციონალურ მოძრაობაში მასზე დიდი პოლიტიკური და ინტელექტუალური გამოცდილება, არ მგონია, ვინმეს ჰქონდეს“**

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, ნიკა მელიამ პოლიტიკური დუმილი დაარღვია. ის ამბობს, რომ უახლოეს მომავალში საზოგადოებას ეცოდინება რას აპირებს. როგორ ფიქრობთ, ნაციონალურ მოძრაობას დატოვებს?***

– მას შემდეგ, რაც ნიკა მელიამ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის არჩევნები წააგო, მას არ უნდა ეჩქარა გადაწყვეტილების მიღება. ის უნდა გაჩუმებულიყო და დროის დინებას მიჰყოლოდა. ეს იყო მისი მხრიდან ყველაზე რაციონალური გადაწყვეტილება. ახლა, როგორც ჩანს, ემზადება სწორედ ამ გადაწყვეტილების მისაღებად. მელია დღეს უკვე ძლიერის პოზიციიდან საუბრობს. მან დრო მოიგო. მას შემდეგ, რაც ლევან ხაბეიშვილის დაპირებები მხოლოდ წინასაარჩევნო პროპაგანდა აღმოჩნდა და მეტი არაფერი, მელიას აქვს შანსი, თავმჯდომარის პოსტი დაიბრუნოს.

***– როგორ?***

– მე არ ვიცი ნაციონალური მოძრაობის პარტიის წესდება, მაგრამ დამერწმუნეთ, თუ მელია შეძლებს პარტიაში შიდა რიგგარეშე არჩევნების დანიშვნას, ის გაიმარჯვებს. დღეს ნიკა მელია გაცილებით მომგებიან პოზიციაშია, ვიდრე ლევან ხაბეიშვილი. მეტიც, თუ მელია რიგგარეშე არჩევნების დანიშვნას მოახერხებს „გამარჯვების პლატფორმა“ შეიძლება დაიშალოს კიდეც. უკვე აშკარაა, რა იყო გიორგი ვაშაძის ნაციონალებში მიწვევის მიზანიც.

***– ხაბეიშვილის ჩანაცვლება?***

– ცხდია, რა თქმა უნდა. ამაზე მელიამ ღიად ისაუბრა და ეს სვლაც სრულიად გასაგები იყო. მე როდესაც ჟურნალისტებმა მკითხეს ამ გაერთიანების შესახებ, მაშინვე ვთქვი, თუ რა იყო ჩანაფიქრი. გასაგებია, რომ ეს ჩანაფიქრი ხაბეიშვილის თავში არ დაბადებულა, ეს იყო კეზერაშვილ-მერაბიშვილის გადაწყვეტილება. მელიას განცხადების შემდეგ, ხაბიშვილ-ვაშაძის ტანდემი და მერაბიშვილ-კეზერაშვილის სვლა ნამდვილად არის ფუჭი. გამოდის, ტყუილად გაისარჯნენ.



***– მელიამ თუ დამოუკიდებელი პარტია შექმნა, რა შანსები აქვს არჩევნებზე?***

– 5-პროცენტიან ბარიერს ნამდვილად გადალახავს. ჯერ მელიას სწორი პოზიციები აქვს და შეცდომა არ დაუშვია. მოგეხსენებათ, პარტიის ფორმირება არ არის მარტივი ამბავი, სწორად შეარჩევს ხალხს, სწორი გზავნილები ექნება და, რაც მთავარია, იქნება გულწრფელი, ის შეძლებს სერიოზული კონკურენცია გაუწიოს უკვე დიდი ხნის წინ ფორმირებულ, პოლიტიკური გამოცდილების მქონე პარტიებს.

***– ბატონო ვახტანგ, როგორ ფიქრობთ, რატომ დუმს სააკაშვილი?***

– არ ჩქარობს. ის ინარჩუნებს, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს, შეინარჩუნოს ორივე ფრთის ლიდერობა. თუ დუმილს დაარღვევს, მაშინ გამოდის, ერთის მხარე უნდა დაიჭიროს, რაც თავისთავად, ერთი ფრთის ლიდერობას ნიშნავს. ამიტომ ის დუმილის შენარჩუნებას ეცდება, თუ რაღაც სასწაული არ მოხდა.

***– თუ ამასობაში პარტიის მმართველობა ჩამოართვეს?***

– გეთანხმებით, მაგრამ სოფო ჯაფარიძისთვის ნდობის გამოცხადება ნიშნავს, რომ ის ყველას არ ენდობა. ესეც უკვე არის გზავნილი. თან, როგორც მე მახსოვს, ჯაფარიძე მელიას ფრთას წარმოადგენს. ამითაც ცდილობს გარკვეულ მინიშნებას. სააკაშვილს დღეს პარტიაში რეალური გავლენა არ აქვს, ვერც ექნება, მდგომარეობიდან გამომდინარე.

მიუხედავად ჩემი დამოკიდებულებისა მისდამი, სწორი პოზიცია აქვს. ამ დუმილით ის ორივე ფრთის ლიდერობას ინარჩუნებს. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ პარტიის ამომრჩეველი სწორედ მასთანაა მიბმული. რეალურად, ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი, სააკაშვილის ამომრჩეველია და არა კეზერაშვილის ან მერაბიშვილის.

***– როგორ ფიქრობთ, ნიკა გვარამია პოლიტიკაში შემოვა?***

– აუცილებლად მიიღებს გვარამია ამ გადაწყვეტილებას. მას აქვს პოლიტიკური გამოცდილება. აქვს როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაში ყოფნის გამოცდილება. ის ინტელექტუალია, ნიჭიერი კაცია. დღევანდელ ნაციონალურ მოძარობაში მასზე დიდი პოლიტიკური და ინტელექტუალური გამოცდილება, არ მგონია ვინმეს ჰქონდეს. მართალია, დღევანდელი ციხე იმ ციხისგან განსხვავდება, რომელიც მე ვიცი, მაგრამ ციხე ციხეა. ციხეში ის არ იყო ეპატაჟური, განსხვავებით ტელევიზიისგან. ალბათ ბევრ რაღაცაზე დაფიქრდა, ბევრი გაიაზრა. როგორც ჩანს, თავის დროს ელოდება. ის არ ზის სახლში მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოვიდა. უკრაინაში იყო, იყო ევროსაბჭოში. ეს ერთგვარი მოთელვით სამუშაოს ჩატარებას ჰგავს.

***– რომელ გუნდში წარმოგიდგენიათ, მელიასთან?***

– ეს უფრო სწორი იქნებოდა მისი მხრიდან. თუმცა, ვნახოთ. ალბათ, მთლიანად ოპოზიციურ ფლანგზე ყველა ეს პროცესი შემოდგომისთვის უკვე უნდა იყოს დაწმენდილი. სექტემბრის ბოლოს პოლიტიკური მოზაიკა მეტნაკლებად უკვე გვეცოდინება. მეტი დრო პოლიტიკოსებს არ აქვთ.



## ამერიკის საელჩო: „თბილისში, აშშ-ის საელჩოში, არავის მიუღია მონაწილეობა სააკაშვილის ლობირებაში“

– თბილისში, აშშ-ის საელჩოში, არავის მიუღია მონაწილეობა ყოფილი პრეზიდენტის, სააკაშვილის ლობირებაში და არც დახმარებია მის ლობისტებს, რაიმე შეხვედრის დაგეგმვაში, – ამის შესახებ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

მათივე განცხადებით, მავნებლური ინფორმაცია, რაც ამტკიცებს, ან გულისხმობს, რომ აშშ-ის საელჩოს თანამშრომლებმა ლობისტური ფირმებისგან ფული მიიღეს, ერთმნიშვნელოვნად ცრუ და უპასუხისმგებლოა.

– ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, თბილისსა და ვაშინგტონში, შეშფოთება გამოთქვა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ბოლო დღეების განმავლობაში აშშ-ის საელჩოსა და ჩვენი თანამშრომლების საქმიანობასთან დაკავშირებით ზოგიერთი მედიასაშუალებების მიერ გამოქვეყნებულ დეზინფორმაციასა და პოლიტიკური მოღვაწეების მიერ ამ დეზინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით.

როგორც აღვნიშნეთ, თბილისში აშშ-ის საელჩოში არავის მიუღია მონაწილეობა ყოფილი პრეზიდენტის, სააკაშვილის ლობირებაში და არც დახმარებია მის ლობისტებს რაიმე შეხვედრის დაგეგმვაში. მავნებლური ინფორმაცია, რაც ამტკიცებს, ან გულისხმობს, რომ საელჩოს თანამშრომლებმა ლობისტური ფირმებისგან ფული მიიღეს, ერთმნიშვნელოვნად ცრუ და უპასუხისმგებლოა, – აღნიშნულია განცხადებაში.

## ირაკლი ზარქუა: „ხაბე კი მიყვარს, მაგრამ როგორ უნდა დანიშნო გაერთიანების ხელმძღვანელად“?



ირაკლი ზარქუა „სტრატეგია აღმაშენებლისა“ და ნაციონალური მოძრაობის გაერთიანებას გამოეხმაურა.

– კი მიყვარს ეს ხაბე, მაგრამ ნუ ხაბეა, რა, ოპოზიციური გაერთიანების ხელმძღვანელად როგორ უნდა დანიშნო? მიიყვანეს მეორე, რომელიც უკეთესად არის შეფუთული ამ ევროპულობით. სინამდვილეში ერთი შარლატანია ბატონი ვაშაძე, რომელიც ცრუპენტელა პოპულისტია.

4 კაცით შემოვიდა პარლამენტში და ბოლოს ეს და მანჯგალაძე შემორჩნენ ერთმანეთს. მანჯგალაძეც, ეტყობა, მსხვერპლად, თუ რა ვიცი, ტყვედ ჰყავს აყვანილი. ყველა გაექცა და რა უნდა ქნას? ისევ პოპულისტურად ირბენენ. ჩემი „ხაბე“ ისევ პირად კონტროლზე აიყვანს სტიქიას, ეს კიდევ უკრაინასთან, იქედან „ფორტოჩკებიდან“ ჩაერთვება, „ლაივები“ ექნება, გვეტყვის, რომ „ჩვენ ვიგებთ, ბრძოლის ველზე ვართ“ და რაღაცა, ნუ „ჭიჭე ვაშაძეა“ რა. ეს გაერთიანება ან მივა ან არა ბოლომდე. ვწუხვარ, რომ ქართულ პოლიტიკაში ძირითადი ოპოზიცია ამათ ჰქვიათ, – განაცხადა ზარქუამ.

## იაგო ხვიჩია: „როცა უპატრონოდაა წიაღისეული, სარგებლობენ ჩინოვნიკები და მისი მეგობრები“

– როცა უპატრონოდაა წიაღისეული, მისით სარგებლობენ ჩინოვნიკები და მისი მეგობრები, ასე იქნება, ვიდრე ადამიანების არ იქნება მთელი წიაღისეული, რაც კომუნისტებმა წაგვართვეს – რაჭაში რაც ხდება, იგივე პრობლემაა საგურამოში, ბაღდათში, გუდაურში, სიონში, – ამის შესახებ „გირჩის“ დეპუტატმა იაგო ხვიჩიამ განაცხადა.

მისი თქმით, სავარაუდოდ, ადგილი აქვს გარკვეულ გარიგებას.

– პრობლემა იმაშია, რომ საქართველოში ასეთი ტერიტორიები, ტყე იქნება, ჭალები თუ სხვა ადგილები, უპატრონოდ არის მიტოვებული და გადანაწილებული არაა მოქალაქეებზე. როცა უპატრონოდაა, მისით სარგებლობენ ჩინოვნიკები და მისი მეგობრები, ასეა, როცა წიაღისეული არ გადაეცემა მოქალაქეებს. აქედან ერთადერთი გამოსავალია, რომ მთელი ქვეყნის ტერიტორიის, მათ შორის, ტყეების განკერძოება მოვახდინოთ, ეს უნდა იყოს ადამიანების საკუთრება. ეს უსამართლობა, რაზეც დღეს ვსაუბრობთ, ყოველთვის იქნება, სანამ უპატრონოდ იქნება მიგდებული და ადამიანების არ იქნება მთელი ის წიაღისეული, რაც კომუნისტებმა წაგვართვეს, თორემ კომუნისტებამდე ეს ჩვენს წინაპრებს ეკუთვნოდათ.

ხელისუფლებაში არის ივანიშვილი და მისი პარტია, რომელიც მანამდე რუსეთში ცხოვრობდა და დარწმუნებული ვარ, რუსეთში მეგობრები ჰყავს. ახლა, შეგვიძლია ვთქვათ, „უი, ეს რა მომხდარა“, მაგრამ ზუსტად ვიცი, მოხდებოდა, რადგან სულ ასე ხდებოდა. ეს მგონია კომერციული, შეიძლება კორუფციულ ზღვარზე გასული გარიგება, რომელიც სულ ხდება, როცა ქონებას ხალხს არ აძლევენ. სინამდვილეში ეს ტყე რაჭის მაცხოვრებლების არის.



ჩვენ, ანალოგიურ თემაზე, ვიყავით საგურამოში, ბაღდათში, გუდაურში, სიონში, ვიცით, რომ რაჭაც ასეთი ადგილი იყო (თუმცა, იქედან არავის მოუმართავს და დაუპატიჟებლად არსად გვინდა წასვლა), ყველგან ეს ერთი და იგივე ტიპის პრობლემაა. ამაზე ვილაპარაკეთ, რამდენჯერაც საშუალება გვქონდა და არცერთ მედიას ეს არ აინტერესებდა, ახლაც ინტერესს იწვევს ის, რომ რუს ბიზნესმენს მისცეს ტყე, – განაცხადა ხვიჩიამ.

შეგახსენებთ, რომ დღეს „რეფორმების ჯგუფის“ წევრებმა – ხათუნა სამნიძემ, თეონა აქუბარდიამ და ასევე დამოუკიდებელმა დეპუტატმა, თამარ კორძაიამ ბრიფინგი გამართეს, სადაც განაცხადეს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ბიზნესმენ დავით ხიდაშელს, 49 წლის ვადით, მხოლოდ 11 ლარად გადასცა რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე მიწა, რომლის მასშტაბი 104.712 ჰექტარია. დეპუტატების შეფასებით, მიწებისა და ტყეების გადაცემა, ასევე ადგილობრივი მაცხოვრებლების ინტერესების ხელყოფა რუსი ბიზნესმენების ინტერესების ხარჯზე, არის ქვეყნის მტრობა და ღალატი. მათივე ცნობით, 224 ადგილობრივ მოქალაქეს პროკურატურა მიწების უკანონო ფლობას ედავება.

## ზელენსკი: კარგი ამბები დრონების გამოყენების შესახებ კიდევ უფრო გახშირდება



უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, დრონების არმიის პირველი წლის შედეგები უკვე არსებობს, ეს სიახლეებში ჩანს და კარგი ამბები დრონების გამოყენების შესახებ კიდევ უფრო გახშირდება.

– ოფიციალურმა პირებმა წარმოადგინეს დრონების არმიის პირველი წლის შედეგები, უკვე არა პროექტის, არამედ უკრაინული დრონების ნამდვილი არმიის. არის შედეგები და ეს სიახლეებში ჩანს. კარგი ამბები უკრაინული დრონების გამოყენების შესახებ უფრო ხშირი გახდება და ეს მნიშვნელოვანია, – აღნიშნა პრეზიდენტმა ზელენსკიმ.

მისი თქმით, დრონების არმია გაიზრდება, უკრაინის შეიარაღებულ ძალებს სჭირდება ყველა ტიპის დრონი: საკმაოდ მარტივი „მავიკებიდან“ დაწყებული, საზღვაო და თავდასხმის დრონებით დამთავრებული, რომლებსაც დიდ მანძილზე მოქმედება შეუძლიათ.

# გარი კასპაროვი: „უკრაინის არდამარცხებამ ყველა კარტი არია“

## ვის რისთვის სჭირდება უკრაინის გამარჯვების გადავადება?

მარიამ მჭედლიშვილი

პრიგოჟინის ამბოხის მცდელობაზე, მისი გაგრძელების შესაძლებლობაზე, რუსეთის მაფიოზურ სტრუქტურებსა და უკრაინაში მიმდინარე ომზე უკრაინის „გორდონის“ გამოცემას ესაუბრა რუსეთის ფარგლებს გარეთ მყოფი რუსეთის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გარი კასპაროვი. კასპაროვი ამზეურებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა იყო ჩაფიქრებული უკრაინაში და რატომ ვერ შესრულდა უკრაინის მიმართ მზაკვრული განზრახვა.

**გარი კასპაროვი:**

– პრიგოჟინის მიერ მოწყობილი ამბოხის მცდელობის შედეგია ის, რომ ვაგნერელები უკრაინიდან წავიდნენ. პრიგოჟინმა შეინარჩუნა მძლავრი შეიარაღებული ძალა.

მგონია, რომ პრიგოჟინის უკან დგანან სერიოზული ადამიანები პუტინის გარემოცვიდან. შესაძლოა, ეს იყვნენ ძმები კოვალჩუკები ან კიდევ ვინმე სხვა. ამ მოვლენების აზრი მარტივია: თუ ომის მოგება შეუძლებელია, ის უნდა დაამთავრო.

***– პრიგოჟინზე დაკვირვება, პუტინისგან განსხვავებით, საინტერესოა?***

– პრიგოჟინი ცოცხალია. პუტინი ნამდვილ ვამპირად იქცა.

***– შოიგუ და გერასიმოვი?***

– ისინი არაფერს წარმოადგენენ. შოიგუ პუტინთან დაახლოებული მაინც არის, სხვები კი საერთოდ არარაობები არიან. პუტინის რუსეთის კოორდინატთა სისტემაში მნიშვნელოვანია მეფესთან სიახლოვე. პრიგოჟინი უდავოდ მაფიოზური ოჯახის წევრია. შოიგუზე ამას დარწმუნებით ვერ ვიტყვი. დანარჩენ გენერლებს არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭებათ.

აშკარაა, რომ რუსეთში სახელმწიფო



არის დეკორაცია. სახელმწიფო ხელისუფლება ფაქტობრივად არ არსებობს.

სად იყო სახელმწიფო დუმის სპიკერი იმ დღეს, როდესაც ისინი სახელმწიფო გადატრიალებას აწყობდნენ? ეს არავინ იცის. არც შს მინისტრისა და თავდაცვის მინისტრი უნახავს ვინმეს იმ დღეს.

***– არც გაუგონიათ მათგან რამე.***

– დიახ, არც მათი ხმა გაუგია ვინმეს. ლავროვიც გაქრა. მხოლოდ ფსბ (სახელმწიფო უშიშროების სამსახური) არსებობს ამ ქვეყანაში. მისი წარმომადგენლები, ალბათ, უფრო აგრესიულ მხარეს დადგნენ. ჩემი ვარაუდით, ისინი იმ პროცესში მონაწილეობდნენ. ჩვენ გვეუბნებიან, რომ პრიგოჟინს უზარმაზარ ძალას ახვედრებდნენ. რომელ ძალებს შეეძლოთ პრიგოჟინის გაჩერება? პრიგოჟინს არ ჰქონდა მოქმედებების არანაირი პოლიტიკური გეგმა.. ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა პუტინის მაფიის ერთი ზემდგომი ჯგუფისთვის იგივეა, რაც იყო არგენტინა ნაცისტებისათვის. იქ „ობშჩიაკი“ აქვთ.

***– პრიგოჟინის შესახებ კიდევ გავიგონებთ?***

– ბუნებრივია. ის აშკარა მოთამაშეა. თვითონ ისტორიაც არ დასრულებულა, ვინაიდან ომი გრძელდება. პუტინი ამ ომიდან კარგს არაფერს უნდა ელოდოს. ნებისმიერი ახალი წარუმატებლობა ომში გააძლიერებს პრიგოჟინელების პოზიციებს. როცა ყველაფერი ცუდადაა, ბალასტისგან თავისუფლდები. გარკვეულ მომენტში ბალასტად შეიძლება იქცეს პუტინი.

***– ერთ დღეს რაღაც ძალები კრემლის შიგნით, ფსბ-დან ან გრუ-დან დაამხობენ პუტინს?***

– ჩვენ ეს სიტუაცია უკვე ვნახეთ. ამის გაკეთება შეეძლო პრიგოჟინს. მას არ ჰქონდა პოლიტიკური გეგმა. ამ გეგმის შემუშავება შესაძლებელია.

***– რუსეთის მოსახლეობა ამას დუმილით შეხვდება?***

– როგორც ჩანს. რუსეთში სახელმწიფო არ არსებობს. არის პირადი და ბიზნესის ინტერესები.

***– ომში ამჟამად ინიციატივა არცერთ მხარეს ეკუთვნის. რა იქნება მომავალში?***

– ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. უეჭველია, რომ ინიციატივა არის უკრაინის მხარეს. სტრატეგიული ინიციატივა უკრაინას ეკუთვნის.

რუსეთი გადასულია სტრატეგიულ თავდაცვაზე. უკრაინამ უნდა შეუტიოს, მაგრამ მას საამისოდ არ გააჩნია თანამედროვე ომის მთავარი კომპონენტი – უპირატესობა ჰაერში.

მიმაჩნია, რომ სრულიად ცინიკურია იმ ამერიკელი პოლიტიკოსების განცხადებები, რომლებიც ამბობენ, რომ შეტევა ნელა მიმდინარეობს.

ამერიკაში ზოგიერთს არ სურს, რომ ომი მალე დამთავრდეს. მათი აზრით, ომი უნდა დამთავრდეს მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის. ეს არის ერთადერთი საშუალება ბაიდენისათვის, რომ ხელახლა აირჩიონ. ისე, ომი არაპროგნოზირებადი რამეა და უკრაინამ შეიძლება უფრო ადრეც მიაღწიოს წარმატებას.

***– მანამდე კიდევ რამდენი უკრაინელი დაიღუპება.***

– ეს მათ არ აინტერესებთ. ამ საკითხებზე ვკამათობ აშშ-ის ოფიციალურ პირებთან. დაახლოებით ორი კვირის წინ ლონდონში პანელზე შევეკამათე აშშ-ის წარმომადგენელს ნატოში. მან აღნიშნა, რომ ამერიკა ამ ომისათვის ემზადებოდა. მე ვუპასუხე, რომ ამერიკელები უკრაინის კაპიტულაციისთვის ემზადებოდნენ.

ამაზე მაქვს ინფორმაცია. კერძოდ, აშშ-ის ადმინისტრაციას ეგონა, რომ ამ ომს პუტინი მალე მოიგებდა და დაიწყებოდა მოლაპარაკებები. უნდა გამართულიყო ბაიდენის ადმინისტრაციის დიალოგი პუტინთან. უკრაინა ამ მოლაპარაკებებში ერთ-ერთი საკითხი იქნებოდა. იგეგმებოდა ირანთან ბირთვული შეთანხმების, ჩინეთის თემის, სხვა გლობალური საკითხების განხილვა. ყველა კარტი არია უკრაინამ, რომელიც ომში არ დამარცხდა.

# გაგა ჩხეიძე: „ძალიან დავიღალე კულტურის მინისტრის ცრუ, ცილისმწამებლურსა და შეურაცხმყოფელ განცხადებებზე პასუხის გაცემით“

– სიმართლე გითხრათ, ძალიან დავიღალე კულტურის მინისტრის ცრუ, ცილისმწამებლურსა და შეურაცხმყოფელ განცხადებებზე პასუხის გაცემით, მაგრამ თავდაცვის სხვა იარაღი მე არ გამაჩნია, ამიტომ ისევ უნდა გამოვეხმაურო კულტურის სამინისტროს განცხადებას და ტვ „იმედის“ გადაცემაში აღნიშნულ ფაქტებს.

კულტურის მინისტრს შევახსენებ, რომ მისი აუდიტის დასკვნას მე კატეგორიულად არ ვეთანხმები და ჩემი გათავისუფლება გავასაჩივრე ჯერ კიდევ 2022 წლის აპრილში და ამჟამად ველოდები პროცესის ჩანიშვნას. რაც შეეხება „სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს“, რომლებიც თითქოს გამოიკვეთა აუდიტის მსვლელობისას, ეს ჩანაწერი მიზანიმართულად არის შეტანილი 7 თვის შემდეგ საბოლოო დასკვნაში მისი დამძიმების მიზნით. მინისტრმა შესანიშნავად იცის, რომ არანაირ გაფლანგვას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ მაინც გადასცა საქმე პროკურატურას.

ტვ „იმედის“ გადაცემაში გამეორებულია ბრალდებები, რომლებიც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ერთ-ერთი ბრალდება ეხება ეროვნული კინოცენტრის მიერ ა(ა)იპ „კინოხელოვნების ცენტრი პრომეთესთვის“ კინოფესტივალის ჩასატარებლად თანხის გამოყოფას 2019-2021 წლებში და თითქოს ამის გამო არსებულ ინტერესთა კონფლიქტს. ყველა ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულა კინოცენტრსა და „პრომეთეს“ შორის არის იურიდიულად გამართული, კულტურის მაშინდელი მინისტრის, მიხეილ ჩხენკელის მიერ ნებადართული და იქ არანაირ ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია. ამასაც აუცილებლად დავამტკიცებ სასამართლოში.



ინტერესთა ნამდვილი კონფლიქტი კი, პირიქით, იქ არის, სადაც აუდიტის დეპარტამენტის უფროსი, ბატონი სუთიძე „ქართული ფილმის განვითარების ფონდის“ გამგეობის წევრია, ხოლო ამ ფონდის დირექტორი მისი უფროსი, მინისტრის მოადგილე იოსებ ბალათურიაა.

დანარჩენ ბრალდებებზე აქ არ ვისაუბრებ, იმდენად სპეციფიკური თემებია, თუ ვინმეს დაგაინტერესებთ, შემიძლია, აუდიტის დასკვნაც და სარჩელიც პირადად გაგაცნოთ, მით უმეტეს, რომ, ჯერჯერობით, გამოკითხვაზე არ ვყოფილვარ.

რაც შეეხება „ქართული ფილმის განვითარების ფონდს“, სადაც ორ ფართს ვქირაობდით და იქ პირადად მე არაფერი გადამიკეთებია, ამ შემთხვევაში ფართის ქირავნობის ყველა წესი დაცულია. იჯარის ფასების თაობაზე აუდიტის დასკვნაც არსებობს. რამე დარღვევა რომ ყოფილიყო, ფონდი, ან მინისტრი ალბათ კარგა ხნის წინ იჩივლებდა, – აცხადებს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის დამაარსებელი გაგა ჩხეიძე.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## საბერძნეთში, იტალიაში, ალჟირსა და ტუნისში ტყის ხანძრების შედეგად 40-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, ათასობით კი ევაკუირებულია



საბერძნეთში, იტალიაში, ალჟირსა და ტუნისში ტყის ხანძრების შედეგად 40-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, ათასობით – ევაკუირებულია.

BBC-ის ცნობით, საბერძნეთის ხელისუფლება როდოსიდან, კორფუდან და ევიადან ევაკუირებულთა რაოდენობის გაზრდას გეგმავს.

ამასთან, მოსალოდნელია, რომ ქვეყნის ზოგიერთ ნაწილში ჰაერის ტემპერატურა 44 გრადუს ცელსიუსს გადააჭარბებს. ტყის ხანძრებს იტალიაც ებრძვის. ხანძრების გავრცელების გამო, სიცილიის ხელისუფლებას ცოტა ხნით პალერმოს აეროპორტის დახურვა მოუწია.

BBC-ის ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით, ტყის ხანძრების შედეგად, ყველაზე მეტი ადამიანი – 34 ალჟირში დაიღუპა, მათ შორის 10 ჯარისკაცი.

ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, ხანძრების ლიკვიდაციაში დაახლოებით 8.000 ადამიანი, ასობით სახანძრო მანქანა და რამდენიმე თვითმფრინავი მონაწილეობს. ხანძრები მეზობელ ტუნისსაც შეეხო. იქ ერთ-ერთი სოფლიდან 300 ადამიანი იქნა ევაკუირებული.

## სირიაში რუსულმა ავიაგამანადგურებელმა ამერიკული დრონი დააზიანა




სირიაში რუსულმა ავიაგამანადგურებელმა ამერიკული დრონი დააზიანა. ამის შესახებ განცხადებას ამერიკული CENTCOM საჰაერო ძალების მეთაური ალექს გრინკევიჩი ავრცელებს. მისი თქმით, ინციდენტი 23 ივლისს დილით მოხდა. გრინკევიჩის ინფორმაციით, როდესაც ამერიკული MQ-9 დრონი „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტების განადგურების ოპერაციას აწარმოებდა, რუსულმა ავიაგამანადგურებლებმა პროვოკაციებს მიმართეს.

რუსული თვითმფრინავები დრონს მიუახლოვდნენ და მისგან რამდენიმე მეტრში სასიგნალო რაკეტები გაუშვეს, რომელთაგან ერთ-ერთი დრონს მოხვდა და ხრახნი დაუზიანა. მისი თქმით, დრონმა ფრენის გაგრძელება შეძლო და უსაფრთხოდ დაბრუნდა ბაზაზე.

– რუსული ავიაგამანადგურებლის მხრიდან ფრენების უსაფრთხოების აშკარა უგულებელყოფა გვაცდენს ჩვენი მისიისგან, რომელიც დაეშის საბოლოო განადგურებისკენაა მიმართული. სირიაში რუსულ ძალებს მოვუწოდებთ, დაუყოვნებლივ ბოლო მოუღონ ამ უგუნურ, მაპროვოცირებელსა და არაპროფესიონალურ საქციელს, – განაცხადა გრინკევიჩმა.

## გასულ დღე-ღამეში რუსმა სამხედროებმა ხერსონის ოლქს 55-ჯერ დაარტყეს, არიან დაღუპულები და დაშავებული




უკრაინის ხერსონის ოლქის ხელმძღვანელის, ალექსანდრ პროსკუდინის განცხადებით, გასული დღე-ღამის განმავლობაში რუსმა სამხედროებმა ოლქს 55-ჯერ დაარტყეს, არიან დაღუპულები და დაშავებული.

მისივე თქმით, შეტევების დროს რუსულმა არმიამ ნაღმტყორცნები, არტილერია, „გრადები“, ტანკები, ავიაცია და უპილოტო საფრენი აპარატები გამოიყენა.

– რუსული აგრესიის შედეგად დაიღუპა 2 და დაჭრილია 3 ადამიანი, – ნათქვამია განცხადებაში.

უკრაინის შეიარაღებული ძალების გენშტაბის ცნობით კი, გასული დღე-ღამის განმავლობაში რუსულმა არმიამ 460 სამხედრო, ვერტმფრენი, 22 საარტილერიო სისტემა, 16 უპილოტო და სხვა ტექნიკა დაკარგა.

– დღევანდელი დღის მდგომარეობით, ომის დაწყებიდან უკრაინაში 243.680 რუსი სამხედრო იქნა განადგურებული, – იუწყება გენშტაბი.

## ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თანამდებობიდან გაათავისუფლეს

ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ცინ განი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. 57 წლის ცინ განი, რომელიც ჩინეთის ლიდერის, სი ძინპინის სანდო თანაშემწედ ითვლება, საგარეო საქმეთა მინისტრად დეკემბერში დაინიშნა, მანამდე მას აშშ-ში ჩინეთის ელჩის თანამდებობა ეკავა.

მედიის ინფორმაციით, ცინ განს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მისი წინამორბედი, მმართველი „კომუნისტური პარტიის“ საგარეო საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელი ვან ი შეცვლის, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრი 2013-2022 წლებში იყო.



ახალი საგარეო საქმეთა მინისტრის დანიშვნა ჩინეთის ეროვნული სახალხო კონგრესის მუდმივმოქმედი კომიტეტის სხდომაზე მოხდა, რომელიც მოულოდნელად ჩაინიშნა.

აღსანიშნავია, რომ ცინ განი საჯაროდ ერთი თვეა არ გამოჩენილა, რისი მიზეზიც ამ დრომდე უცნობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვინ არის პირი, რომელმაც ბიზნესმენი ვატო გურგენიძე ვაკეში დაჭრა




დაკავებულია პირი, რომელმაც ვაკეში ბიზნესმენი ტატო გურგენიძე დაჭრა. ინფორმაცია „მთავარ არხს" შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს. შემთხვევა გუშინ, მზიურის პარკის მიმდებარედ, იურიდიულ ფირმასთან მოხდა.

38 წლის კაცს ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ესროლეს და ფეხში დაჭრეს. ის კლინიკაშია გადაყვანილი.

„მთავარი არხის" ინფორმაციით, ტატო გურგენიძეს კონკურენტი კომპანიის წარმომადგენელთან ჰქონდა კონფლიქტი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და იარაღის უკანონოდ ტარების მუხლებით დაიწყო.

## სარფში ზღვაში მამაკაცი დაიხრჩო




ბათუმში, სარფში ზღვაში კაცი დაიხრჩო. ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

არსებული ცნობით, 40 წლამდე კაცი წყლიდან უგონო მდგომარეობაში გამოიყვანეს.

კაცს დახმარება ადგილზევე გაეწია, თუმცა, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

შემთხვევის ადგილზე სამაშველო სამსახურისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადები იმყოფებოდნენ.

## ტერორიზმის საქმე — სპეცოპერაცია ოთხ ლოკაციაზე და დაკავებული ორი პირი



საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულმა ცენტრმა, გატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ტერორისტულ დანაშაულზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, საქართველოს ორი მოქალაქე დააკავა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა სპეციალური ოპერაცია საქართველოს ორ რეგიონში ოთხ ლოკაციაზე ერთდროულად ჩაატარა. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია დროშები ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს" სიმბოლიკით და სხვადასხვა სახის ელექტრონული ინფორმაციის მატარებელი მოწყობილობა.

ამასთან, დაკავებულების საცხოვრებელი სახლებიდან ამოღებულია საბრძოლო მასალა, ასაფეთქებელი მოწყობილობა და ფეთქებადი ნივთიერებები. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრი გამოძიებას სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე და 236-ე მუხლებით აწარმოებს.

გრძელდება აქტიური ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებები როგორც დაკავებული პირების ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს" საქმიანობაში მონაწილეობის ხასიათის გამოვლენისთვის, ისე დანაშაულთან შემხებლობაში მყოფი სხვა პირების იდენტიფიცირების მიზნით. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მადლობას უხდის გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აღნიშნულ საქმეში თანამშრომლობისთვის.

## 7 ნოემბრის საქმეზე მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი გადაიდო



7 ნოემბრის საქმეზე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისა და მასთან ერთად ბრალდებული ყოფილი მაღალჩინოსნების სასამართლო პროცესი გადაიდო. აღნიშნულის მიზეზი თავად სააკაშვილის პოზიცია გახდა, რომელიც სხდომას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დისტანციურადაც ვერ ჩაერთო, რის გამოც, მან მისი მონაწილეობის გარეშე პროცესის ჩატარებაზე უარი განაცხადა.

სასამართლო პროცესზე ადვოკატებს შუამდგომლობის დაყენება სურდათ, რომელიც მტკიცებულებების ხელახლა გამოკვლევას შეეხებოდა, თუმცა, ვინაიდან აღნიშნულთან დაკავშირებით სააკაშვილს პოზიცია დაფიქსირებული არ ჰქონდა, კოლეგიამ სხდომა გადადო.

სასამართლო პროცესზე ზურაბ ადეიშვილისა და დავით კეზერაშვილის მიმართ დაუსწრებლად შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა გადაისინჯა და ის ძალაში დარჩა.

შემდეგი სასამართლო პროცესი 20 სექტემბერს, 12:00 საათზე გაიმართება.

ცნობისთვის, სახელმწიფო ბრალდება მიხეილ სააკაშვილს 2007 წლის 7 ნოემბერს, მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედში" შეჭრასა და ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას ედავება.

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით აქვს წარდგენილი, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების, ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. აღნიშნული ბრალი სასჯელის სახედ და ზომად 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

აღნიშნულ საქმეში სააკაშვილთან ერთად ბრალდებულები არიან ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი და გიგი უგულავა.

## ბათუმში ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს



ბათუმში, ახალგაზრდა მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს. ინფორმაციასა და ფოტოს აჭარა ნიუსი ავრცელებს.

შემთხვევა შარაშიძის ქუჩაზე მოხდა. გარდაცვალების მიზეზი ამ ეტაპზე უცნობია. „ბაჩო ნათელში იყოს შენი სული", „უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი", – წერენ კომენტარებში.

## შსს-ს მანქანა ავტომობილს შეეჯახა და მძღოლი მიიმალა



ბათუმში შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილი ავტომობილი ავარიაში მოყვა, – ამის შესახებ ინფორმაციას TV 25 ავრცელებს.

როგორც გამოცემა წერს, შემთხვევა ღამით, ჯავახიშვილის ქუჩაზე მოხდა. ძალოვანი უწყების კუთვნილი ავტომობილი, გასწრების მცდელობისას, იმავე მიმართულებით მოძრავ მანქანას შეეჯახა.

მათივე ცნობით, სამართალდამცველმა ტერიტორია მალევე დატოვა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ერთ-ერთი ვერსიით, მანქანის მძღოლი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ჯერჯერობით, უცნობია, დაიწყო თუ არა მომხდარზე გამოძიება.

## ახალგაზრდა ფოტოგრაფი ანრი ტაბაღუა ზღვაში დაიხრჩო



ბათუმში ახალგაზრდა ფოტოგრაფი ანრი ტაბაღუა დაიღუპა. არსებული ინფორმაციით, ის ზღვაში შევიდა და გამოსვლა ველარ მოახერხა. ტრაგედია 25 ივლისს მოხდა. ინფორმაციას სოციალურ ქსელში გარდაცვლილის ახლობლები და მეგობრები ავრცელებენ.

## ქალეიდოსკოპი

### კონგრესმენმა ამოუცნობ მფრინავ ობიექტებზე სიმართლის თქმის პირობა დადო



აშშ-ის კონგრესმენმა ტენესის შტატიდან ტიმ ბურშეტმა, რომელიც ამოუცნობი მფრინავი ობიექტების (ამო) არსებობის ფაქტებს იძიებს, განაცხადა, რომ უცხოპლანეტელების ტექნოლოგიებმა შესაძლოა დედამიწელები „ქვანახშირის ბრიკეტად" აქციონ.

აშშ-ის კონგრესში დაიწყო პირველი სახალხო მოსმენები არამიწიერი ცივილიზაციების არსებობისა და მათთან შესაძლო კონტაქტების თაობაზე. ამის მიზეზი გახდა ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის (ცსს) ყოფილი აგენტის დევიდ გრუშის გულახდილი აღიარება. მცირე ხნის წინ მან განაცხადა, რომ ხელისუფლება მალავს, რომ ფლობს „შემონახულ და ნაწილობრივად შემონახულ" უცხოპლანეტელების ხომალდებს, ასევე, რომ შეხება ჰქონდათ ამ ხომალდების მავნე განზრახვის მქონე პილოტებთან, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანებს დიდი ზიანი მიაყენონ.

გრუშის განცხადებებმა ამერიკის საზოგადოებასა და ისტებლიშმენტში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ამ ყოველივესთან დაკავშირებით ქვეყნის კონგრესმა გამოძიება დაიწყო, რომელსაც სათავეში ტიმ ბურშეტი ჩაუდგა და რომელმაც სიმართლის გარკვევის პირობა დადო. მის მიერ მოწყობილ ბრიფინგზე მან განაცხადა, რომ მისი კოლეგა, კონგრესმენი ფლორიდის შტატიდან ანა პაულინა ლუნა სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა ფედერალური ჩინოსნების მხრიდან, როდესაც მათ ამო-ზე კითხვების დასმა დაუწყო. ბურშეტის თქმით, ლუნას უარი უთხრეს, წვდომა ჰქონოდა ისეთ ინფორმაციებზე, რომელიც უცხოპლანეტელების არსებობას დაადასტურებდა.

კონგრესმენმა ასევე განაცხადა, რომ ქვეყნის ხელისუფლება ფლობს ისეთ ტექნოლოგიებს, რომლებიც ფიზიკის ცნობილ კანონებს არ ემორჩილება და სამხედროები ინფორმაციის დამალვაში დაადანაშაულა.

კონგრესში გამართულ მოსმენებზე ექსპერტებისა და მოწმეების სახით წარსდგებიან ცსს-ს ყოფილი აგენტი დევიდ გრუში, ყოფილი ადმირალი დევიდ ფრეივორი, რომელმაც 2004 წლის სწავლებების დროს ცაში უცნაური ობიექტის გამოჩენის თაობაზე განაცხადა და ყოფილი სამხედრო პილოტი რაიან გრეივზი, რომელიც 2021 წელს ჟურნალისტებს მოუყვა, რომ წლების განმავლობაში თითქმის ყოველდღე ხედავდა ატლანტიკის ოკეანის სანაპიროს თავზე უცნაურ მოვლენებს.

### ქალმა შეყვარებულის კოცნის შემდეგ ცალ ყურში სმენა დაკარგა



ჩინეთის გუანდუნის პროვინციის ქალაქ ხოიჩჟოუს მცხოვრებმა ქალმა შეყვარებულის მიერ ყურში ვნებიანი კოცნის შედეგად ყურის ბარაბნის აპკის გახეთქვა მიიღო.

ქალმა, სახელად სიაოხუამ, საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის განყოფილებას ცალ ყურში სმენის დაკარგვის გამო მიმართა. პაციენტის გასინჯვის შემდეგ ექიმმა ყურის აპკზე შედედებული სისხლი შენიშნა, ხოლო უფრო გულდასმითი გასინჯვის დროს გაირკვა, რომ ქალს ყურის ბარაბანი ჰქონდა გახეთქილი.

ქალის თქმით, მისმა შეყვარებულმა ყურზე ვნებიანი კოცნის დროს შემთხვევით მძლავრად ჩაბერა.

– როდესაც მან ყურზე მაკოცა, ძლიერად ჩამბერა ყურში, ტკაცანის ხმა გავიგონე და შემდეგ სმენა დავკარგე, – განაცხადა სიაოხუამ.

ექიმის თქმით, ყურის ბარაბნის გახეთქვა შესაძლოა გამოიწვიოს ატმოსფერული წნევის მკვეთრმა ცვლილებამ. ასევე, მძლავრი აფეთქების ხმამ ან ძლიერმა ხმაურმა. ის ასევე შეიძლება ყურში კოცნამაც გამოიწვიოს, თუმცა ეს უკიდურეს იშვიათობას წარმოადგენს.

სპეციალისტმა აღნიშნა, რომ ყურის გახეთქილი ბარაბნის აღდგენა თავისთავად შესაძლებელია და ამას ორი კვირიდან სამ თვემდე დრო სჭირდება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ქალს სამი თვის შემდეგ სმენა არ აღუდგება, მაშინ მას ქირურგიული ჩარევა დასჭირდება.

### მილიონერს ცოლი ბავშვებს მხოლოდ ძვირფასი საჩუქრების სანაცვლოდ გაუჩენს



დუბაიელი კრიპტოვალუტის ტრეიდერ-მილიონერის რიკი ანდრადეს მეუღლე მზადაა მას ბავშვები მხოლოდ ძვირადღირებული უძრავი ქონების საჩუქრების მიღების შემდეგ გაუჩინოს.

წყვილმა ერთმანეთი იმ დროს გაიცნო, როდესაც ლინდა ანდრადე მხოლოდ 16 წლის იყო, ხოლო რიკი ფულს იაფი სწრაფი კვების სასადილოებში ჭურჭლის რეცხვით გამოიმუშავებდა. ამჟამად 23 წლის კალიფორნიაში დაბადებული გოგონა დღეებს დიზაინური ხელჩანთებისა ყიდვასა და ტიკტოკში საკუთარ ცხოვრებაზე საუბარში ატარებს. მცირე ხნის წინ ლინდამ განაცხადა, რომ ის და რიკი ბავშვის ყოლას აპირებენ, თუმცა ამის სანაცვლოდ მეუღლეს ბევრი ძვირადღირებული ნივთის შეძენა მოსთხოვა.

ქალმა წარმოადგინა იმ ნივთების სია, რომლების ჩუქებასაც მეუღლისგან დაფეხმძიმების შემთხვევაში მოელის. პირველი, რაც ლინდამ ისურვა, ბრილიანტისთვლიანი ახალი ბეჭედია, და რომ ბრილიანტი ბავშვის სქესს უნდა შეეფარდებოდეს, ანუ ძვირფასი ქვა ან ვარდისფერი, ან ცისფერი უნდა იყოს. საჩუქრის სახით ქალმა ასევე მოითხოვა ახალი სახლი და „საინვესტიციო ბინა", რომლის შემდეგ უფრო ძვირად გაყიდვა იქნება შესაძლებელი.

ასევე, მილიონერის ცოლს ლამბორჯინის და მაკლარენ 720ს-ის მარკის ავტომობილები სურს, რომელთა ფასი შესაძლოა 300 ათას დოლარს აღემატებოდეს. ასევე მას ახალი გელენვაგენი (მერსედესის ჯიპი) სურს, რომელიც მისი „დედამობილი" გახდება. ავტომობილების გარდა, მას ასევე სურს, რომ მისი სახელი დაერქვას იახტას.

ლინდამ ასევე ისურვა, ყოველდღე მიართვან ვარდები, რომ მისმა მეუღლემ ფეხმძიმობის ყოველდღეს რომანტიული საღამო მოუწყოს და როლექსის ახალი საათები აჩუქოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ევროკავშირის ელჩები ბელარუსის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესების შესახებ შეთანხმდნენ

ევროკავშირის ელჩები ბელარუსის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესების შესახებ შეთანხმდნენ.

ალნიშნულ ინფორმაციას Twitter-ზე ესპანეთის წარმომადგენლობა ავრცელებს და ალნიშნავს, რომ ახალი სანქციების შემოღება ბელარუსის მიმართ უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მიერ წარმოებული ომის მხარდაჭერის გამო განხორციელდა.

– ბელარუსში შექმნილი ვითარებისა და უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის მხარდაჭერის გათვალისწინებით, ევროკავშირის ელჩები ამ ქვეყნის მიმართ ახალ შეზღუდვებზე შეთანხმდნენ. სანქციები ფიზიკურსა და იურიდიულ პირებს შეეხებათ, – ნათქვამია განცხადებაში.

## რუსეთი შავი ზღვის ფლოტის ხომალდებს დისლოცირების ადგილს უცვლის, რაც ძალადობის რისკების გაზრდის დასტურად უნდა ჩაითვალოს

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო – რუსეთი შავი ზღვის ფლოტის ხომალდებს დისლოცირების ადგილს უცვლის, რაც ძალადობის რისკების გაზრდის დასტურად უნდა ჩაითვალოს.

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მარცვლეულის შეთანხმებიდან გასვლის შემდეგ, რუსეთმა შავი ზღვის ფლოტის ხომალდების დისლოცირების ადგილის შეცვლა დაიწყო, რაც შავ ზღვაში ძალადობის რისკების გაზრდის დასტურად უნდა ჩაითვალოს.

განცხადებაში ალნიშნულია, რომ ამჟამად რუსული კორვეტი „სერგეი კოტოვი" ბოსფორის სრუტესა და ოდესას შორის არსებულ სანაოსნო გზაზე პატრულირებს.

დიდი ბრიტანეთის დაზვერვის ცნობით, ძალიან მაღალია იმის ალბათობა, რომ ალნიშნული კორვეტი რუსეთის ფლოტის იმ ოპერატიული ჯგუფის შემადგენლობაში შევა, რომელიც უკრაინაში მიმავალი კომერციული ხომალდების დაკავებას ისახავს მიზნად.

## ჟოზეფ ბორელი: „ყურანისა და სხვა წმინდა წიგნების წაბილწვა მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფას წარმოადგენს"



საგარეო საქმეთა და უშიშროების საკითხებში ევროკომისრის, ჟოზეფ ბორელის განცხადებით, ევროკავშირი დანიასა და შვედეთში ყურანის დაწვასთან დაკავშირებულ ქმედებებს გმობს.

მისივე თქმით, ევროკავშირი კატეგორიულად გმობს რელიგიური სიძულვილისა და შეუწყნარებლობის წაქეზებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ფორმას.

– პატივისცემა მრავალფეროვნებისადმი ევროკავშირის ძირითად ფასეულობას წარმოადგენს. ეს სხვა რელიგიურ თანასაზოგადოებების პატივისცემასაც შეიცავს, – ალნიშნა ევროკომისარმა.

მან ასევე ალნიშნა, რომ ყურანისა და სხვა წმინდა წიგნების წაბილწვა მორწმუნეთა გრძნობებს შეურაცხყოფს და პროვოკაციას წარმოადგენს.

– რასიზმის, ქსენოფობიისა და მათთან დაკავშირებული შეუწყნარებლობის ადგილი ევროკავშირში არ არის, – ნათქვამია განცხადებაში.

## მოლდოვამ რუსეთის საელჩოს 60-მდე თანამშრომელი გააძევა

მოლდოვის პრემიერ-მინისტრის, დორინ რეჩან დანიელ ვოდეს განცხადებით, ქვეყანაში არსებული რუსეთის ფედერაციის საელჩოს აკრედიტებული დიპლომატებისა და ადმინისტრაციული თანამშრომლების რაოდენობა 84-დან 25-მდე შემცირდება. მისივე თქმით, დიპლომატიური თანამდებობების რაოდენობა 10-მდე, ხოლო ტექნიკური თანამშრომლების – 15-მდე შემცირდება.

– ეს პრინციპული გადაწყვეტილებაა, რომლის შესახებ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი უკვე ინფორმირებულია, – განაცხადა ვოდემ.

რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეაქციას, უწყების ოფიციალური წარმომადგენლის, მარია ზახაროვას განცხადებით, ოფიციალური კიშინიოვი, დასავლეთის სპონსორების გასახარებლად, რუსოფობიაზე მიმართულ ძალისხმევას აორმაგებს.

შეგახსენებთ, რომ დაძაბულობა მოლდოვასა და რუსეთს შორის მას შემდეგ დაიწყო, რაც კიშინიოვში მდებარე რუსეთის საელჩოს სახურავზე ათეულობით ანტენისა და სატელიტური თეფშის შესახებ გახდა ცნობილი, რომლებსაც რუსეთის სპეცსამსახურები თვალთვალისთვის იყენებდნენ.

## ჯეიმს კლევერლი – რუსეთი, შესაძლოა, შავ ზღვაში სამოქალაქო გემებს თავს დაესხას

გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ჯეიმს კლევერლის განცხადებით, რუსეთი, შავ ზღვაში, შესაძლოა სამოქალაქო გემებს დაესხას თავს. ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მოსკოვი, შესაძლოა, უკრაინის სურსათის ექსპორტის განადგურების მიზნით დაწყებული კამპანიის ფარგლებში სამოქალაქო გემებს დაესხას თავს.

– ჩვენ ამ არაკეთილსინდისიერ ქცევაზე გაეროს უშიშროების საბჭოში გავამახვილებთ ყურადღებას. რუსეთმა უნდა შეწყვიტოს გლობალური სურსათის მარაგების მძევლად აყვანა და შეთანხმებას დაუბრუნდეს, – თქვა მან.

შეგახსენებთ, მას შემდეგ, რაც რუსეთმა გასულ კვირას მარცვლეულის შეთანხმება დატოვა, მან უკრაინის საპორტო ქალაქებზე თავდასხმები გააძლიერა.

## ფესტივალზე ოქროების ზამრჩნდა



ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მესამე საშეჯიბრო დღეს მარიბორის ლუკნას დარბაზში, სადაც ძიუდოისტები ასპარეზობენ, საქართველოს ჰიმნი ორჯერ აჟღერდა. უმსუბუქესი წონის წარმომადგენელმა შოთა ბაჩოშვილმა (50 კგ) და მერაბ სამადაშვილმა (55) ჩემპიონობა იზეიმეს.

ბაჩოშვილი ასპარეზობას მეოთხედფინალიდან შეუდგა. იპონით დაამარცხა რუმინელი მოწინააღმდეგე; ნახევარფინალში წმინდა გამარჯვება მოიპოვა აზერბაიჯანელ მეტოქესთანაც; გადამწყვეტ შეხვედრაში კი, ბელგიის წარმომადგენელ აშხაბ ისაიევთან, ასევე წმინდა გამარჯვება მოიპოვა და კვარცხლბეკის პირველ საფეხურზე ავიდა.

საქართველოს გუნდს მეორე ოქროს მედალი მერაბ სამადაშვილმა შესძინა. მომავალი ჩემპიონი ასპარეზობაში პირველი წრიდან ჩაება: იპონით დაამარცხა სომეხი სპორტსმენი; შემდეგ ორი ვაზარით მოუგო მოლდაველ მეტოქეს; წმინდა გამარჯვება ჰქონდა აზერბაიჯანელ მოწინააღმდეგესთანაც; ოქროს მედლისთვის შეხვედრაში კი, ასევე იპონით გამარჯვება იტალიელ ემილიანო ლატანზისთან იზეიმა და საქართველოს ჰიმნიც ააჟღერა.

სპორტულ ტანვარჯიშში ვაჟებს შორის გაიმართა საკვალიფიკაციო ეტაპი. ქართველმა ტანმოვარჯიშე დაჩი დოლიძემ ორ დისციპლინაში, ტაიჭსა და ორძელზე შთამბეჭდავად იასპარეზა და ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა, რომელიც 28 ივლისს გაიმართება.

ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მესამე საშეჯიბრო დღე წარუმატებელი გამოდგა ჩოგბურთელთა ტურნირის მეორე წრეში გასული ელენე ხუბუასთვის, რომელიც ესპანელ თანატოლთან ორ სეტში (4:6; 3:6) დამარცხდა და ფესტივალზე ასპარეზობა დაასრულა.

ორიდან ორი წაგება ჰქონდათ 3X3-ზე კალათბურთელებს – ირაკლი ახალაია, ნიკოლოზ გურგენიძე, ნიკოლოზ კვანტალიანი, ანდრია მდინარაძე. ჩვენი გუნდი ჯერ უკრაინასთან დამარცხდა (11:21), შემდეგ – გერმანიასთან (12:21).

საგზატკეცილო ველოსპორტში გიორგი გაბრიჩიძემ 54-ე, რუსლან ბაბილოძემ 78-ე და არჩილ უნდილაშვილმა 79-ე ადგილი დაიკავა.

## გაბრიელ სიგუა ბაზელში ითამაშებს





საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გაბრიელ სიგუა შვეიცარიული ბაზელის ფეხბურთელია. ჩვენებურმა ბაზელთან კონტრაქტი 2028 წლის ზაფხულამდე გააფორმა. სიგუა 21-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

სიგუა დინამოს აკადემიის აღზრდილია, სადაც დებიუტი 2022 წელს დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასზე სამტრედიას წინააღმდეგ ჰქონდა. საერთო ჯამში ნახევარმცველმა ლურჯ-თეთრების რიგებში 31 მატჩი ჩაატარა, 5 გოლი გაიტანა და 4 საგოლე პასი შეასრულა.

გასულ სეზონში ბაზელმა შვეიცარიის ჩემპიონატში მე-5 ადგილი დაიკავა, მაგრამ კონფერენს ლიგის ნახევარფინალში გავიდა, სადაც ფლორენციის ფიორენტინასთან დამატებით დროში დამარცხდა. ქვეყნის ჩემპიონატი 20-ჯერ აქვს მოგებული – ბოლოს 2017 წელს.

ბაზელის გვერდზე კლუბის სპორტული დირექტორის, ჰაიკო ფოგელისა და ქართველი ფეხბურთელის კომენტარები გამოქვეყნდა.

**ჰაიკო ფოგელი:**

– გაბრიელ სიგუას საქართველოში სამართლიანად მიიჩნევენ ერთ-ერთ ყველაზე დიდ ტალანტად. ის ჯერ მხოლოდ 18 წლისაა, მაგრამ ფიზიკურად შესანიშნავად არის მზად და სიმაღლეშიც 190 სანტიმეტრია. მას თამაში შეუძლია როგორც ცენტრალურ, ისე შემტევ ნახევარმცველად.

**გაბრიელ სიგუა:**

– კონტრაქტის გაფორმებით ძალიან ბედნიერი ვარ. ბაზელი ცნობილია საერთაშორისო ასპარეზზე და, გარდა ამისა, შვეიცარიაში ყველაზე პოპულარული კლუბია.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს კარიერაში შემიძლია ახალი ნაბიჯის გადადგმა და განვითარება. ბაზელში არის შესანიშნავი პირობები ახალგაზრდა ფეხბურთელების განვითარებისთვის.

გეტყვით, რომ სიგუა ბაზელის ისტორიაში მე-2 ქართველი ფეხბურთელია – 2006 წელს შვეიცარიულ გუნდში მიხეილ ყაველაშვილი თამაშობდა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

### კალეიდოსკოპი

## წყვილი მეზობლის სახლში შეიჭრა, სექსის შემდეგ კი იქვე დაიძინა



უგანდაში მთვრალი შეყვარებულების წყვილი დააპატიმრეს, რომლებიც სექსით მეზობლის სახლში დაკავდნენ.

23 წლის გოგონა და 35 წლის მამაკაცი ქალის სახელად მარგარეტ ავინოს სახლში ალმოაჩინეს. ისინი მეზობელი დასახლების მკვიდრები ალმოჩნდნენ. პოლიციის ინფორმაციით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი წყვილი დილით, დაახლოებით ათ საათზე, წვეულებიდან ბრუნდებოდა. ისინი სხვის სახლში შეიჭრნენ, იქ სექსით დაკავდნენ, შემდეგ კი იქვე დაიძინეს. ამ დროისთვის სახლის პატრონი ავინო საკუთარი პომიდვრების პლანტაციაში იმყოფებოდა.

დასახლების ერთ-ერთი უხუცესის ალფრე ჯოკენეს თქმით, მის ახალგაზრდობაში ასეთი საქციელისთვის დამნაშავეებს სახლის მფლობელისთვის ახალი თეთრეულის ყიდვას და განწმენდის რიტუალის სახით თხის დაკვლას აიძულებდნენ.

პოლიციის საოლქო განყოფილების უფროსის როჯერს კაფერეს თქმით, კანონის დამრღვევები ამ დროისთვის აპაკას პოლიციის ცენტრალურ განყოფილებაში იმყოფებიან, სადაც კერძო საკუთრებაში შეჭრის ბრალდება წაუყენეს.

## ძუ ლომმა ხვადებისგან თავის დასაღწევად მაღალ ხეს შეაფარა თავი



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ძუ ლომი მაღალ ხეზე აძვრა იმისთვის, რომ თავი დაეცვა შვიდი ხვადი ლომისგან, რომლებსაც მასთან შეჯვარება სურდათ.

საფარის მოყვარული როზა სვარტი უჩეულო მოვლენის თვითმხილველი გახდა კრიუგერის ეროვნულ პარკში თავისი მორიგი ვიზიტის დროს. ქალმა ალნიშნა, რომ იმ დღეს ის დაღლილობის გამო საფარიში მონაწილეობას არ აპირებდა, თუმცა, ამაში ის მეუღლემ გადაარწმუნა.

– მან ხუმრობით გამაფრთხილა, რომ შესაძლოა რაიმე უჩვეულოს გადავწყდომოდი, მაგალითად, ხეზე ამძვრალ ლომს. სწორედ მისმა ამ სიტყვებმა შემაცვლევინა თავდაპირველად მიღებული გადაწყვეტილება, – იხსენებს ქალი.

სვარტი მეუღლესთან ერთად ჩაჯდა მანქანაში და პარკის სამხრეთ ნაწილში გაემგზავრა. გზაში ოჯახური წყვილი მაღალ ხესთან შეჩერდა, რომლის კენწეროში მართლაც ძუ ლომი იყო მოკალათებული.

– ჩემდა გასაკვირად, ხის ძირში მას ელოდა შვიდი ხვადი ლომი. ძუ ლომს სექსუალური აღგზნების პერიოდი ჰქონდა და იმისათვის, რომ თავხედი ხვადებისგან თავი დაეღწია, ხის კენწეროში აძვრა, – განმარტა სვარტმა.

გარკვეული დროის შემდეგ ძუ ლომმა, რომელსაც ხის ტოტებზე თავის შემაგრება უჭირდა, ძირს ჩამოხტომა გადაწყვიტა. როგორც კი ძუ მიწაზე ალმოჩნდა, ხვადები მაშინვე მისკენ გაექანნენ. ძუ ლომი მაშინვე ხშირი ბუჩქნარისკენ გაიქცა და იქ სცადა ხვადებისგან თავის დაღწევა.

## გორილამ, რომელიც ზოოპარკის თანამშრომლებს მამრი ეგონათ, ნაშიერი გააჩინა



აშშ-ში დასავლეთ დაბლობის ზოოპარკის ბინადარმა გორილამ სახელად სალიმ, რომელიც რვა წლის მანძილზე მამრი ეგონათ, მდედრი ალმოჩნდა და მოულოდნელად იმშობიარა.

რვა წლის სალი 2019 წლიდან ოჰაიოს შტატის ქალაქ ცინცინატის ზოოპარკის ბინადარია. ის სხვა ზოოპარკში დაიბადა, რომლის თანამშრომლებმა შეცდომით ის მამრად ჩათვალეს. მისი ახალ ზოოპარკში გადაყვანის დროს მისი გასინჯვა და გამოკვლევა არ ჩატარებულა, ვინაიდან ის საკმაოდ აქტიურად და ჯანმრთელად გამოიყურებოდა. გორილას მამრად მიიჩნევდნენ მანამდე, სანამ 2023 წლის ივლისის შუა რიცხვებში, მოულოდნელად ნაშიერი არ დაბადა და ზოოპარკის თანამშრომლები გააოგნა.

დაწესებულების თანამშრომლებმა ასევე ალნიშნეს, რომ მათ სალის ფეხმძიმობა არ შეუნიშნავთ, ვინაიდან საერთოდ გორილებს იშვიათად ეტყობათ მაკედ ყოფნის ნიშნები და მათ ბუნებრივად აქვთ დიდი მუცელი. პატარა გორილას დაბადების შემდეგ მას ფოტოსურათი გადაუღეს, სპეციალისტებს გაუგზავნეს და ის მდედრი ალმოჩნდა. ახლა ზოოპარკის თანამშრომლები დნმ-ს ანალიზის ალებას აპირებენ იმის დასადგენად, თუ რომელი მამრი გორილაა ახლად დაბადებულის მამა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) ალმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების ალდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის ალდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების ალდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამომ მალტაზე მოგებული წააგო

**ჰამრუნი (მალტა)-დინამო (თბ. საქართველო) 2:1**

**ვალეტა. ტა ქალი**

0:1 მარუშიჩი (60), 1:1, 2:1 მბონგი (81, 90)

**ჰამრუნი:** მარკეტი, მბონგი, ბორგი, ემერსონი, ბიელიჩიჩი, კამენზული, ფრეიტაში (ჯონი 77), პრშა, კრსტიჩი (ედერი 46), ჯურანოვიჩი (მონტებელო 77), პენტსილი

**დინამო:** ლორია, მაისურაძე (ოსიყმაშვილი 69), ხვადაგიანი, ტაბიძე (მალი 69), კალანდაძე, ხარაიშვილი, მექვაბიშვილი, ოსეი (მოისწრაფიშვილი 87), იმრანი (მარგველაშვილი 69), კამარა, სხირტლაძე (მარუშიჩი 54)



კონფერენს ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში თბილისის დინამო მალტურ ჰამრუნ სპარტანსთან სტუმრად 1:2 დამარცხდა. ცხადია, ამით შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი არ დაუკარგავს, მაგრამ რასაც დინამოს თამაში ჰქვია, ფეხბურთიდან მოშორებით დგას.

ჰამრუნთან შეხვედრაში თბილისის დინამოს 3 ფეხბურთელი დააკლდა. ტრავმების გამო თორნიკე კირკიტაძემ და მუსა სანგარემ ვერ ითამაშეს, ხოლო გაბრიელ სიგუა შვეიცარიულ ბაზელს შეუერთდა.

ორივე ქართველის ამბავი გასაგებია, მაგრამ სანგარემ ტრავმა სად მიიღო, გასაკვირია – ორი კვირის წინ ჩამოვიდა საქართველოში და ჯერ არ უთამაშია.

თუმცა, დარწმუნებულნი ვართ, რომ ვერც მათი ყოფნა შეცვლიდა დინამოში რამეს. გია ჭიაბრიშვილის გაწვრთნილი გუნდი სრულიად უფანტაზიო ფეხბურთს თამაშობს და შედეგებიც სახეზეა.

უინტერესო პირველი ტაიმის შემდეგ, ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა გვქონდა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ოსეი ბარნსმა ახლო მანძილიდან კარს ააცილა.

ეს ეპიზოდი ოსეიზე პასის მიმცემ სხირტლაძეს ტრავმის ფასად დაუჯდა და მის ნაცვლად ზორან მარუშიჩი შევიდა. და გაიტანა კიდეც – სერბმა ფორვარდმა საქართველოს მოქმედი ჩემპიონი დააწინაურა. საგოლე შეტევა ანზორ მექვაბიშვილმა დაიწყო და ჯიმი ტაბიძემ მკერდით დაუგდო მარუშიჩს და...

მარუშიჩმა გოლის გარდა ორჯერ გაარტყა ბურთი მალტელთა კარის ძელს. დინამოს სხვა მომენტებიც ჰქონდათ, მაგრამ რეალიზაციაში მოისუსტებდნენ.

ჰამრუნის მოგებას თავად დინამომ შეუწყო ხელი: გაგი მარგველაშვილმა საჯარიმოს ხაზთან ახლოს მეტოქე წააქცია. სტანდარტი მალტელებმა გამოიყენეს და ჯოზეფ მბონგმა ანგარიში გაათანაბრა.

მანვე მსაჯის მიერ კონპენსირებული დროის მერვე წუთზე იმავე მარგველაშვილს დაასწრო და გამარჯვების მომტანი გოლიც შეაგდო.

**გიორგი ჭიაბრიშვილი:**

– რთული თამაში გამოდგა. ეს მაინც პირველი მატჩია და ვიმედოვნებ, რომ ყველაფრის გამოსწორებას შინ გასამართ შეხვედრაში შევძლებთ.

ახლა, მიზეზებზე საუბარი, ალბათ, არ ღირს, რადგან კარგად არ გვაქვს გაანალიზებული, მაგრამ ვხვდები, რომ ბევრი შეცდომა დავუშვი პირადად მე, რაც თამაშზე აისახა.

ცვლილებების მომენტიც იყო, ბევრი ტრავმა გვქონდა, ძალიან ბევრი გაუთვალისწინებელი რაღაც იყო, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ეს თამაში მთლიანად ჩემი დაგეგმილი იყო.

ვფიქრობ, არ გამომივიდა ის, რაც დავგეგმე და ამიტომ ეს თამაში დავთმეთ. ვეცდებით, რომ თბილისური თამაში სხვანაირად დავგეგმოთ, საჩვენოდ მოვაბრუნოთ და გავიდეთ შემდეგ ეტაპზე.

# ვლადიმირ ვაისი: კვარასთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე გავიდოდით



სლოვაკეთისა და საქართველოს ნაკრებების ყოფილი თავკაცი, ვლადიმირ ვაისი იტალიურ მედიას ესაუბრა და ჩვენთვისაც საინტერესო ამბები განიხილა.

**ვლადიმირ ვაისი:**

– ერთ ამბავს მოგიყვებით. ექვსი თუ შვიდი წლის წინ, როდესაც საქართველოს ნაკრებს ვთავკაცობდი, ავსტრიაში ამხანაგური შეხვედრა გავმართეთ სლოვაკეთთან. მაშინ სლოვაკეთის ნაკრებში ჩემი შვილი ვლადი თამაშობდა. მატჩის შემდეგ, სასტუმროს ფოიეში შკრინიარსა და ლობოტკას შევხვდი, რომელთაც პირდაპირ ვუთხარი, რომ ისინი ძალიან ნიჭიერები იყვნენ და დიდი ფეხბურთელები გახდებოდნენ...

გასულ სეზონში ლობოტკა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ექვსი ნომერი იყო. ის თამაშობდა ნაპოლიში, ფანტასტიკურ კლუბში, რომელსაც დიდებული გულშემატკივარი ჰყავს და სადაც მარადონამ და ჰამშიკმა ისტორია დაწერეს.

გასულ სეზონში ნაპოლის მთავარი ვარსკვლავები ოსიმენი და კვარა იყვნენ, მაგრამ ვაისი ლობოტკას მნიშვნელოვნებასაც უსვამს ხაზს:

– ნაპოლიში რომ გადავიდა, ლობოტკა გუნდის საკვანძო ფეხბურთელი არ იყო. გატუზოს დროს მეტწილად სათადარიგოთა სკამზე იჯდა. შემდეგ მოვიდა სპალეტი, რომელმაც საკუთარი თავის რწმენა შეჰმატა და ეს გარდამტეხი აღმოჩნდა. დღეს ნაპოლის კომბინაციებს ლობოტკა იწყებს. ის ფანტასტიკურად ამაგრებს პოზიციას. სტანისლავი ნაპოლისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია.

კვარამ კი, ნაკრებში, თავისი პირველი მატჩი ჩემს ხელში ჩაატარა. მაშინ 18 წლის იყო და რუბინში თამაშობდა. ხვიჩას გასაოცარი კარიერა აქვს. როდესაც მკითხეს, იყო თუ არა მზად ნაპოლისა და სერია ა-ში სათამაშოდ, ვუპასუხე, რომ თუ თავში არ აუვარდებოდა, ვარსკვლავი გახდებოდა. დღეს ამაყი ვარ, რომ სერია ა-ს საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.

ვიცი, კვარას ბევრი კლუბი ეპატიჟება, მაგრამ ნეაპოლელებს ის უყვართ. თან ნეაპოლი ზღაპრული ქალაქია. ორიოდე დღის წინ თავიდან ვუყურე ნაპოლისა და ლივერპულის მატჩს და აღვფრთოვანდი. ტაქტიკურად პირველ ტაიმში სპალეტის გუნდი უნაკლო იყო. მან თავისი ტოტალური ფეხბურთით ინგლისელები დაჯაბნა.

გაბრწყინების სეზონის შემდეგ, კვარას მეორე სეზონში გამოცდა ელის. მეტოქეებს მისი თამაში უკვე შესწავლილი აქვთ და იციან, როგორ დაიცვან თავი. ვაისს ამის შესახებაც აქვს არგუმენტი:

– შესაძლოა, ასე იყოს, თუმცა, შესაძლოა, კიდევ უფრო ძლიერი მოგვევლინოს. წინა სეზონში თავადაც იტალიური ფეხბურთის შესწავლა მოუხდა. იტალიური ფეხბურთი კი რუსული და ქართული ფეხბურთისგან განსხვავდება. როდესაც კაცს ატყუებს ან როდესაც ორ მოწინააღმდეგეზე მიდის, კვარა შეუდარებელია. დაცვით ფაზაში აქვს თამაში დასახვეწი.

ჯორჯ ბესტთან შედარებაზე? რა გითხრათ, აბა. ჯორჯ ბესტი ჯორჯ ბესტი იყო, კვარა კი – კვარაა. ის ფანტასტიკური ბიჭია და საქართველოში ნამდვილი ვარსკვლავია. სამწუხაროდ, მასთან ერთი უიღბლობის ისტორია მაკავშირებს.

ჩრდილო მაკედონიასთან გადამწყვეტი ფლეი ოფის წინ კვარას კოვიდი შეეყარა და დიდი ოცნება დაიმსხვრა. ეს ქართული ფეხბურთისთვის და პირადად ჩემთვის ტრაგედია იყო. ეჭვი არ მეპარება, რომ ეთამაშა ჩვენ ევრო 2020-ზე გავიდოდით. კვარას გარეშე კი პანდემმა დაგვამარცხა. ეს ჩემი ცხოვრების ძალიან ცუდი დღე იყო. ერთი ნაბიჯიღა გვაკლდა.

ვაისმა კომენტარი ჩაკვეტაძის შესახებ გააკეთა, სადაც აღნიშნა, რომ ფეხბურთელი იძულებული გახდა სლოვანიდან წასულიყო და მისით სპეკულირებენ.

– ჩაკვეტაძეზე გავლენა აგენტმა და ერთ-ერთმა მეგობარმა იქონია. კიდევ ერთმა ქართველმა აგენტმა. ჩაკვეტაძე იძულებული გახდა უოტფორდში წასულიყო.

ცრემლებამდე გული დამწყდა. ახლა ყველაზე მეტად ვინც მაკლია გუნდში, ჩაკვეტაძეა. შეიძლება, ბევრი გოლი არ გააქვს, მაგრამ დაცვიდან შეტევით ფაზაში გადასვლისას მთავარი რგოლია. ჩვენ მოვიყვანეთ მარკო ტოლიჩი, მაგრამ ის განსხვავებული ფეხბურთელია...

როდესაც საქართველოს ნაკრებს ვწვრთნიდი, ჩაკვეტაძემ ერთა ლიგის ჯგუფი პირადად მოგვაგებინა. მაშინ ბრწყინვალე ფორმაში იყო და მისი წაყვანა არაერთ გრანდს სურდა – ბარსელონას, დორტმუნდს, ჩელსის, რომას... მაგრამ ტრავმამ შეუშალა ხელი...

მის აგენტთან კავშირი ახლაც მაქვს, ცოტა ხნის წინ მიმოწერაც მქონდა... თუმცა, დღეს ჩვენ გიორგისთვის პრიორიტეტს აღარ წარმოვადგენთ... საწყენია, ჩვენ მას დავეხმარეთ, რომ ფორმაში ჩამდგარიყო...

გენტს რომ გაეყიდა, გარკვეული თანხა ჩვენც შეგვხვდებოდა, მაგრამ იჯარით წავიდა. ვთვლი, რომ გენტი ჩაკვეტაძით სპეკულირებს. ასევე იქცევა მისი აგენტიც. ჩვენ ცოტათი მოგვატყუეს.

# სანდრო ბაზაძე მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია

29 წლის სანდრო ბაზაძემ მილანში მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მორიგ წარმატებას მიაღწია და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ხმლით მოფარიკავე ქართველმა ერთეულთა თანრიგში ზედიზედ ხუთი მეტოქე დაამარცხა და ფინალში ამერიკელ ელი დერშვიცს დაუპირისპირდა, რომელთანაც 6:15 დამარცხდა.

ბაზაძე ძირითად ბადეში პირველ ნომრად იყო განთესილი და ტურნირიც დამაჯერებლად დაიწყო – გერმანელი ლუის ბონაჰი 15:3 დაამარცხა; შემდეგ წრეში ტუნისელ ფარეს ფერჯანის დაძაბულ ბრძოლაში აჯობა – 15:13; მერვედფინალში ჩვენებური ამერიკელ მიტჩელ სარონს გაუსწორდა – 15:7; მეოთხედფინალში იაპონელი კენტო იოშიდას 15:9 მოუგო; ნახევარფინალი ეგვიპტელ ზიად ელსისისთან ძალიან დრამატული გამოდგა და ქართველმა 14:14-ზე მეტოქეს გადამწყვეტი ჩხვლეტა მიაყენა. მსაჯებმა თავიდან გამარჯვება ეგვიპტელს ჩაუთვალეს, მაგრამ მალევე შეცდომა აღიარეს და ფარიკაობაში მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ქართველი სპორტსმენი ფინალში პირველად გავიდა.

თუმცა, როგორც ზემოთ გითხარით, ჩვენებურმა ფინალი დათმო.

ბაზაძემ მიმდინარე სეზონში (2022-23 წლები) უნიკალური მიღწევა დააფიქსირა – სეზონის ყველა (11) ძირითად ტურნირზე (მსოფლიოს ჩემპიონატი, ევროპის ჩემპიონატი, ევროპული თამაშები, გრან-პრი, მსოფლიო თასი) მედალი მოიპოვა (10-ჯერ ფინალში იყო), ხოლო წინა სეზონიდან მოყოლებული, კვარცხლბეკზე ზედიზედ მე-14 შეჯიბრი დაასრულა.

ბაზაძე ევროპის ორგზის ჩემპიონია (2022, 2023), ასევე კონტინენტის პირველობის სამგზის ბრინჯაოს პრიზიორი (2017, 2018, 2019) და შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია. სანდროს გრან-პრი ერთხელ აქვს მოგებული, მსოფლიოს თასი კი – სამჯერ.



# ტორპედოს მეტოქე სანქცირებული თვითმფრინავით საქართველოში არ შემოუშვეს

27 ივლისს კონფერენსლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ქუთაისის ტორპედო შინ ყაზახურ აქტობეს უნდა დაუხვდეს. თუმცა, ყაზახური გუნდი ჯერ იმერეთში არ ჩასულა.

ყაზახური მედიის ინფორმაციით, აქტობეს საქართველოში გამომგზავრების წინ პრობლემები შეექმნა და გუშინ, აქტობედან ქუთაისში გამოფრენა ვერ მოახერხეს. მიზეზი ის არის, რომ ქართული მხარე მათი ჩარტერული რეისის მიღებაზე თანხმობას არ იძლევა.

ყაზახები იმასაც წერენ, რომ აქტობეს კოტდივუარელ თავდამსხმელ ანდერსონ ნიანგბოს საქართველოს ვიზაზე უარი უთხრეს.

საქართველომ ყაზახების მიღებაზე უარი იმ მიზეზით განაცხადა, რომ ფრენას სანქცირებული ავიაკომპანია ასრულებდა. ქუთაისური კლუბის უშუალო ჩარევის შედეგად, პრობლემა მოგვარდა და ტორპედოს მეტოქეც საქართველოში დღეს სხვა ავიაკომპანიით ჩამოფრინდება.

რაც შეეხება ნიაგბოს საკითხს, ფეხბურთელს საბუთები წესრიგში არ ჰქონდა და ვიზაზე უარი ამიტომ ეთქვა. ტორპედომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნით მიმართა, რომ ფეხბურთელი ქვეყანაში სამდღიანი საშვით დაეშვათ, მაგრამ საკითხი ამ ეტაპზე გადაწყვეტილი არ არის.

ტორპედოსა და აქტობეს მატჩი ქუთაისში, „რამაზ შენგელიაზე“, 27 ივლისს, 21:00 საათზე დაიწყება.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## ჩვენო საყვარელო ჟუჟუნა!

დღეს შესრულდა ორი წელი იმ დღიდან, როცა ჩვენ ერთმანეთს სამუდამოდ დავცილდით. შენ დაიმკვიდრე სამუდამო სასუფეველი იმქვეყნად, ჩვენ კი ყოველ დღეს ვითვლით, რომ კვლავ შევხვდეთ ერთმანეთს. ზოგიერთი გაიძახის, რა სწრაფად იწურება დრო და ჟამიო, სრულებითაც არა. ჩვენთვის სულ პირიქით – ხანგრძლივი ხდება ლოდინი, ჩვენო ჟუკო! როგორც ამ ქვეყნად იყავი ყოვლის შემძლე და მნახველი, ისე ზეციერშიც გამოჩნდა შენი სურვილი. სულ რამდენიმე თვეში წაგვართვი შენი ერთადერთი საყვარელი ძმა, ასევე ერთადერთი მაზლი და მრავალი კეთილი ნათესავი. ჩვენო დიდებულო არსებავ, მშვიდად განისვენე ზეციურ საქართველოში. ჩვენგან შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

*შენი ოჯახის პირველი წევრები გივი, გულიკო, იზო ჭყოიძეები და უამრავი კეთილი ნათესავი*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი 8



**შვეულად:** 1. ნეიტრონის აღმომჩენი ინგლისელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ძვირფასი ქვა, ლურჯი ფერის იაგუნდი; 3. საგარეო-პოლიტიკურ საკითხებზე მომუშავე თანამდებობის პირი; 4. პოპულარული ტყეპარკი ვენაში; 5. ფინელი ბარონი, მარშალი, ეროვნული გმირი; 10. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. ტბა ჯავახეთში; 12. ღვინის კასრების დამამზადებელი ოსტატი; 13. „ფორმულა-1“-ში მონაწილე მონაკოელი ავტომრბოლელი; 16. აცტეკების ლეგენდარული ბელადი; 17. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 19. უბანი თბილისში; 21. ქვეწარმავლის შხამი; 23. კუთხე საქართველოში.

**თარაზულად:** 6. რაიმეს თანდათანობით გაუარესება, დაქვეითება; 7. უარყოფითი მსჯელობა რაიმეს შესახებ, ნაკლოვანებაზე მითითება; 8. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. მკვლელობათა საქმეების გამომძიებელი აშშ-ში; 14. ბიბლიის ათი მცნება; 15. გადაშენებული გიგანტური ქვეწარმავალი; 18. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში; 20. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული კომპანია; 22. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 24. კომპანია „ამაზონის“ მფლობელი; 25. თათარაში ამოვლებული ნიგვზის ან თხილის ასხმულა; 26. ფრანგული საიუველირო ფირმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჯანაოზი; 2. კინგსტონი; 3. მაჭახელა; 4. ჩამპინო; 5. ბეკარი; 9. ტავრია; 11. დათვები; 12. ხარაძე; 14. კალიბრი; 18. ალაფი; 19. გიუმი.

**თარაზულად:** 4. ჩანახი; 5. ბაზილიკა; 7. ამანათი; 8. აგენტი; 10. გაუდა; 13. ზეკარი; 15. ტრავმა; 16. ლავა; 17. რომა; 20. ისრიმი; 21. დემონი; 22. სუფრული; 23. მწუხრი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ურუშაძე; 2. გობელენი; 3. სტრუქტურა; 4. მორავია; 5. კაზუისტიკა; 10. უშქარი; 11. სტადიონი; 12. კოსმოსი; 13. ფლორიდა; 16. ჯამბაზები; 17. ლილახანა; 19. ანტიგონე; 21. ოდესა; 23. შახტი.

**თარაზულად:** 6. ტრიფოლიატი; 7. როტონდა; 8. შანელი; 9. აქილევსი; 14. კლაკიორი; 15. კოსმეტიკა; 18. ლონჟა; 20. ლიკეუმი; 22. კაშხალი; 24. იდიოტი; 25. რეფლექსი; 26. კიტონი.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

27 ივლისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6247
ევრო — 2.9082
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3903
100 რუსული რუბლი — 2.9174

ამინდის პროგნოზი 27 ივლისისათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა



## გაბრიელ სიგუა ბაზელის ფეხბურთელი გახდა

თბილისის დინამოს 18 წლის ფეხბურთელი გაბრიელ სიგუა ბაზელში ჩაირიცხა და მან შვეიცარიულ გუნდთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. სიგუა დინამოში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლებოდა და მის მიმართ სხვა ევროპული გუნდებიც იჩენდნენ ყურადღებას. სიგუას დებიუტი ბაზელში მალე შედგება და ის 21-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

## მესიმ ინტერ მაიამიში კიდევ 2 გოლი გაიტანა



ლიონელ მესის ამერიკული კარიერა ძალიან კარგად დაიწყო და მან 2 შეხვედრაში უკვე 3 გოლის გატანა მოახერხა. ამჯერად ლეომ თავი ატლანტის წინააღმდეგ გამოიჩინა და მათი დამწუხრება ორჯერ შეძლო. მესის ანგარიშზე საგოლე პასიც არის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მესიმ ძალიან ადვილად შეძლო ადაპტირება მაიამიში და სავარაუდოდ, ის კიდევ უფრო მოუმატებს.



## იურგენ კლოპი: „წელს ისევ ძველ ლივერპულს იხილავთ“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა თქვა, რომ წელს მისი გუნდი დაშვებულ შეცდომებს აღარ გაიმეორებს და მაყურებელი ისევ ძველ ლივერპულს იხილავს. კლოპის აზრით, ლივერპულს დიდი პოტენციალი აქვს: „ლივერპულს კვლავ შეუძლია მაღალ დონეზე თამაში და ჩვენ ამას დავამტკიცებთ. მინდა გულშემატკივარი გავახაროთ და მათ ისევ ძველი ლივერპული იხილონ“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი

დედა ქალიშვილს ეკითხება:
– შვილო, რატომ არ გინდა ცოლად გაჰყვე გივის?
– ის ხომ წითურია.
– ეგ არაფერია შვილო. მხოლოდ ერთი წელი მოგიწევს მაგის ატანა.
– რას გულისხმობ, დედა?
– ერთი წელი შენ გვერდით და ჭაღარა გარანტირებული ექნება!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– მე და ჩემმა ცოლმა ვიჩხუბეთ და მან შიმშილობა გამომიცხადა.
– და რამდენი დღეა აღარ ჭამს?
– ის კი არა, მე აღარ ვჭამ...

•••

მოსამართლე მამაკაცს ეკითხება:
– რატომ გსურთ განქორწინება? თქვენ ხომ 40 წელი იცხოვრეთ ერთად.
– ბატონო მოსამართლევ, თქვენ ფიქრობთ, რომ ჯერ საკმარისად არ დავტანჯულვარ?

•••

ველურებმა ეგზოტიკის მოყვარული ტურისტი დაიჭირეს, შეკრეს, დიდი ცეცხლი დაანთეს და ზედ ქვაბი შემოდგეს. ერთ-ერთი ველური ტურისტს ეკითხება:
– რა გქვია?
– ჩემი სახელი რაში გაინტერესებთ? მაინც უნდა შემჭამოთ!
– იმიტომ, რომ მენიუში უნდა შევიტანოთ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ინოლა გურგულიას პიესა მოზარდმაყურებელთა თეატრში დაიდგმება



მომღერალისა და კომპოზიტორის ინოლა გურგულიას მიერ დაწერილი ერთადერთი პიესა ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა თეატრში დაიდგმება.

„ოცნება თუ სინამდვილე“ – ასე ჰქვია პიესას, რომელიც ხელოვანმა დაწერა და მასზე სპექტაკლს მოზარდმაყურებელთა თეატრი მომავალ სეზონზე წარმოადგენს. ქართული მიუზიკლის მუსიკალური ხელმძღვანელი კომპოზიტორის შვილი მსახიობი ია შუღლიაშვილია.

დიმიტრი ხვთისიაშვილი, მოზარდმაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:

– ინოლა გურგულიას დაბადების დღეა! 94 წლის გახდებოდა! ჰოდა, უკვე იწყება სამზადისი მისი საიუბილეო თარიღის ღირსეულად შესახვედრად! ძალიან ცოტა ადამიანმა თუ იცის, რომ შესანიშნავი სიმღერების, ლექსებისა და თარგმანების გარდა, ინოლა გურგულია არის ავტორი ერთადერთი პიესისა „ოცნება თუ სინამდვილე“. სწორედ ამ პიესის მიხედვით, მისი ჯადოსნური ჰანგების თანხლებით, მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეპერტუარი შეივსება ახალი პრემიერით.

ქართული მიუზიკლის მუსიკალური ხელმძღვანელი კომპოზიტორის ქალიშვილი ია შუღლიაშვილია.



## მაჰარაჯამ საქართველოს ძვირფასეულობა აჩუქა

რაჯასტანის მაჰარაჯამ საქართველოში ძვირფასეულობა ჩამოიტანა და ქართულ მხარეს საჩუქრად გადასცა. საპატიო სტუმარს ზურა შევარდნაძე მასპინძლობდა:

– სინამდვილე, ნამდვილი მაჰარაჯა და მისი ნაზირ-ვეზირი რომ არ იყვნენ, ვიტყოდი, რომ ზღაპარია, კინოა, დადგმულია, მოფიქრებულია.

ისტორია №1

რაჯასტანში, ბიკანერში მაჰარაჯასა და მის ოჯახს რომ გამოვემშვიდობეთ სასახლეში, დელისკენ მიმავალ მატარებელში დაგვირეკეს და გადმოგვცეს, ზურაბს პალტო დარჩა და რომ ფოსტით გამოგვიგზავნიან.

ჩემი პასუხი იყო, პალტო ეჩუქებინათ ძალიან სათნო სასახლის მოხუცი კარისკაცისთვის.

– პალტოს მარჯვენა ჯიბეში ორი ცალი, რაჯასტანის უდაბნოში ნაპოვნი კენჭი მიდევს, გთხოვთ შეინახოთ და საქართველოში რომ გვეწვევით, ჩამომიტანოთ. ეს ნახევრად ხუმრობით, მაგრამ გულით ნათქვამი სიტყვა მიიღეს მოპატიჟებად.

რომ მოგვწერეს მოვდივართო, გავიკვირვე.

– ძალიან მიხარია, არ მეგონა, თუ მართლა ჩამობრძანდებოდით!

– მე ხომ შეგპირდით, რომ კენჭებს ჩამოგიტანდით?! – იყო მაჰარაჯას პასუხი. მას მერე 7 თვე გავიდა და ჩამოვიდნენ.

სიმართლე ვთქვა, კენჭი კი არა, თავი არ მახსოვს, ისე ვარ გახარებული.

მეხუთე დღეს, ვახშამზე, როცა უკვე ყველა მოშინაურდა, ქართული სიუხვით, კეთილხმოვანებით, სილაღითა და მასპინძლობით კმაყოფილმა მაჰარაჯამ სიტყვა ითხოვა. ძვირფასი, მოვარაყებული ზარდახშა გამოიტანა, საოცარი თბილი და მეფური სიტყვები გვითხრა და აცრემლებულებს წარმოუდგენელი საჩუქარი გადმოგვცა.

ძვირფასეულობას შორის რაჯასტანის უდაბნოში ნაპოვნი ორი კენჭიც ბრწყინავდა მოკრძალებულად.

ბევრი მინდა იყოს ამ ზღაპრის მონაწილე. მეტი რა შემიძლია, ამბებს გიამბობთ და გიჩვენებთ.

## ამირან შალიკაშვილი უმცროსი: „ჩემთვის მნიშვნელოვანია მაყურებლის გვერდში დგომა“



პანტომიმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ამირან შალიკაშვილი უმცროსი აცხადებს, რომ თეატრს მძიმე პერიოდი აქვს, მაგრამ სჯერა, მაყურებლის თანადგომით ყველაფერი გამოვა:

– მე ვცხოვრობ ამირან შალიკაშვილის ფესვებზე და ჩემთვის პატივია, გავაგრძელო მისი დაწყებული საქმე. მე ვამაყობ, რომ მქვია ამირანი და გვარად შალიკაშვილი ვარ!

გპირდები, მამა, რომ წამოწყებულ ყველა საქმეს მივიყვან ბოლომდე, რასაც მე სიკვდილის წინ დაგპირდი!

მინდა ჩემ გვერდით მყოფი ყველა ადამიანის მიმართ დიდი სითბო და სიყვარული გამოვხატო, ჩემთვის მნიშვნელოვანია მაყურებლის გვერდში დგომა ამ მძიმე პერიოდში! მადლობა ჩემს არტისტებს. მათ კარგად იციან, სიმართლე რაც არის ამ თეატრის გარშემო. მადლობა, მადლობა არ ჰყოფნის პასუხად და ზუსტად ამიტომ ვაშენებთ თეატრს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ევგენი კისინი საქართველოს მხარდაჭერას უცხადებს



მსოფლიოში ცნობილი რუსი პიანისტი ევგენი კისინი საქართველოს მხარდაჭერას უცხადებს.

ინფორმაცია მაესტრო ნიკოლოზ რაჭველმა გაავრცელა:

– როგორ ვამაყობ, მიყვარს და პატივს ვცემ ამ ღრმა, უნიჭიერესსა და ბრწყინვალე მუსიკოსს, ერთ დროს მსოფლიოში აღიარებულ ვუნდერკინდს და დღეს ნამდვილ მოაზროვნეს მომდევნო თაობებშიც იგივე ხარისხის აღიარებით!

ევგენი კისინი!

მსოფლიო კლასიკური მუსიკის სამყაროს ნამდვილი ვარსკვლავი, ლონდონის მუსიკის სამეფო აკადემიის აკადემიკოსი, მიუნხენის, ბერლინის, ჰონგ კონგის სამუსიკო უნივერსიტეტებისა და სხვა უამრავი პრესტიჟული კონსერვატორიის საპატიო დოქტორი და ა.შ.

ერთ-ერთ უცხოურ გამოცემასთან საუბრისას მან აღნიშნა:

– სანქციები, რომელსაც დასავლეთი ახლა პუტინის რეჟიმის მიმართ ახორციელებს, 8 წლის წინ რომ დაწესებულიყო, ყირიმის ანექსიის შემდეგ, ახლა უკრაინაში ომი არ იქნებოდა. მეტსაც გეტყვით: დასავლეთს ასეთი სანქციები რომ დაეწესებინა 2008 წელს, პუტინის საქართველოში შეჭრისა და სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივი ანექსიის საპასუხოდ, პუტინი არ მოახდენდა ყირიმის ანექსიას 5,5 წლის შემდეგ და შესაძლოა, იმ დროისთვის ის არც ყოფილიყო ხელისუფლებაში. უფრო მეტიც, დასავლეთს რომ დაეწესებინა მსგავსი სანქციები 1999-2000 წლებში, ჩეჩნეთის გენოციდის საპასუხოდ, საქართველოსა და უკრაინაში შეჭრა ნამდვილად არ მოხდებოდა.

მე კარგად ვიცი, ვინ არის პუტინი და რას უნდა ველოდოთ მისგან. თუმცა, ძალიან მიკვირს, რომ დასავლეთში არიან ადამიანები, ძლიერი დემოკრატიული მრწამსის ადამიანები, რომლებიც იზიარებენ იმ თვალსაზრისს, რომ დასავლეთი ამაოდ ირჯებოდა, როცა თავს გამარჯვებულად გრძნობდა ცივ ომში. ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვისაც სრულიად საპირისპირო აშკარა: დასავლეთი არ იქცეოდა როგორც გამარჯვებული ცივ ომში და ზუსტად ამიტომ გვაქვს ახლა ეს პრობლემები და ტრაგედიები. როცა საბჭოთა კავშირმა შეწყვიტა არსებობა, რატომ დაიმკვიდრა რუსეთმა ადგილი გაეროს უშიშროების საბჭოში? რატომ ხვდა წილად ეს რუსეთს ბოროტების იმპერიის დაშლის შემდეგ? ღირსეულ დემოკრატიულ ქვეყნებს, კანადას, ავსტრალიას თუ იაპონიას უნდა მიეღო ეს. ახლა ჩვენ ყველანი ვხედავთ იმ პრობლემებს, რომლებიც სწორედ აქედან მოდის.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა



## პატარძლის ოჯახმა სასიძო სიმელოტის გამო სცემა

ინდოეთში საპატარძლოს ოჯახმა ხელჩართული ჩხუბი მოაწყო სასიძოს პარიკის გამო.

საპატარძლოს ნათესავებმა სცემეს სასიძოს, რომელიც, პარიკის გამოყენებით, ცდილობდა საკუთარი სიმელოტის დამალვას. ჩხუბი საქორწინო ცერემონიის დროს მოხდა.

ქორწილის დროს გადაღებულ ვიდეოზე ჩანს, რომ პატარძლის დაეჭვებული ნათესავები სიძეს მისცვივდნენ და თავიდან პარიკი ჩამოგლიჯეს. ამის შემდეგ მათ ჯერ შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართეს სიძეს, შემდეგ კი მუშტები დაუშინეს. ამაზე მამაკაცმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ თავზე ხელებს იფარებდა.

მიუხედავად სასიძოს პატიების თხოვნისა, საპატარძლოს ოჯახმა დახმარებისთვის სოფლის ხელისუფლებას მიმართა. სიმელოტის გარდა, კონფლიქტის მიზეზი ისიც გახდა, რომ მამაკაცი უკვე იმყოფებოდა ქორწინებაში. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქმის გარჩევა პოლიციის ჩარევის გარეშე დასრულდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 2. რაიმეს დასამტკიცებლად გამოყენებული საბუთი; 3. ექიმის, მკურნალის ლათინური სახელწოდება; 4. ამერიკული კოსმეტიკური ფირმა; 5. ცეცხლსასროლი იარაღის ბელგიელი კონსტრუქტორი; 9. ჰორიზონტალური სამშენებლო კონსტრუქცია; 11. ნიმუში, ტრაფარეტი; 12. მხატვრულ-დეკორატიული სტილი ევროპულ არქიტექტურაში; 14. თამბაქოს წარმოების ერთ-ერთი ცენტრი თურქეთში; 18. სპორტული სასეირნო ნავი; 19. პოლონეთის პარლამენტი.

**თარაზულად:** 4. ოპტიკო-კვანტური გენერატორი; 5. შავკანიანთა რასის წარმომადგენელი; 6. უბანი თბილისში; 7. რომან „კუკარაჩას“ პერსონაჟი; 8. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი; 10. ლიმონის წვენითა და შაქრიანი წყლით შეზავებული ცხელი რომი; 13. ოპერა „სეველიელი დალაქის“ მუსიკის ავტორი; 15. სევდიანი ლირიკული ლექსი; 16. ცხენოსნური თამაში ბურთით; 17. ერთგულების მტკიცე პირობა; 20. პატარა ბაღი; 21. აჭარული ცეკვა; 22. ტრამვაის მძღოლი; 23. რაიმე ნაკეთობის შემცირებული მოდელი, ნიმუში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა